# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 ოქტომბერი 2007 №247 (3170) ფასი 50 თეთრი

## ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

### ფეხბურთის ფედერაცია კაიზერსლაუტერნმა სულაც ვერ შეაშინა






გოგი თოფაძე და ლერი ხაბელოვი

## მინდა: არ გინდა! არ მინდა: გინდა!

### გოგი თოფაძე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დროებითი თავკაცი ჰყავს — ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე. ეს გუშინ, სეოკ-ის აღმასკომის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, რომელსაც ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია.

სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, ლერი ხაბელოვის არგუმენტებმა არ გაჭრა და უმრავლესობამ ოლიმპიურ ჩემპიონს კი არა, თოფაძეს დაუჭირა მხარი. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ თავად გოგი თოფაძემ ხმა ხაბელოვს მისცა და ამის მიუხედავად, მაინც რომ გაიმარჯვა, უკვე სეოკ-ის პრეზიდენტის რანგში განაცხადა, ამ პოსტზე მხოლოდ დეკემბერში გასამართ სეოკ-ის სესიამდე დავრჩები და მერე ქუდი დამიხურავსო.

ცნობისთვის: გოგი თოფაძე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეოთხე პრეზიდენტია ნონა გაფრინდაშვილის, ჯანო ბაგრატიონის და ბადრი პატარკაციშვილის შემდეგ.

## კალაძე და მილანი ერთად გამოჯანმრთელდნენ





„მე უკვე განვმარტე, რომ შემეძლო, პარალელურად ჩემს „კაიზერსლაუტერნსაც“ დავხმარებოდი“ — უთხრა კლაუს ტოპმიოლერმა გერმანულ „კიკერს“. ეს ციტატა შეგეძლოთ, გუშინდელ „სარბიელში“ ამოგეკითხათ. გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ჩვენს ეროვნულ გუნდში კიდევ ორი წლით დარჩენაზე ლაპარაკობს და ამავდროულად თავის მშობლიურ „კაიზერსლაუტერნს“ უხელფასოდ მრჩევლობას სთავაზობს.

ამ ინტერვიუს წაკითხვის მერე კითხვები ბუნებრივად ჩნდება და ეს კითხვები უპირველესად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთათვის არის განკუთვნილი.

ლოგიკურია — ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია კლაუს ტოპმიოლერის დამსაქმებელია და ხელფასს უხდის. შესაბამისად, თუკი ტოპმიოლერი სხვაგანაც აპირებს მუშაობას, თუნდაც მრჩევლად და თუნდაც უხელფასოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან უნდა ჰქონდეს შეთანხმებული. ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან ჩვენი საუბარიც ამ საკითხს შეეხო...

# ჩვენ ერთმანეთს უკვე ვუთხარით

## ფედერაცია და ტოპმიოლერი ერთად არიან

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანახმაა, კლაუს ტოპმიოლერი „კაიზერსლაუტერნის“ მრჩეველი იყოს?**

— ჯერჯერობით ჩვენ საბოლოო სიტყვა არ გვთქვამს და კარგია, რომ ახლა ამ საკითხის განმარტების საშუალება მაქვს. ვფიქრობ, ტოპმიოლერისა და „კაიზერსლაუტერნის“ შესაძლო თანამშრომლობის თაობაზე უსაფუძვლო აჟიოტაჟი ატყდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია განიხილავს ყველა ვარიანტს და გაითვალისწინებს ყველანაირ აზრს, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის იქნება. ამ შემთხვევაში და, ზოგადადაც, ჩვენი მოთხოვნა ერთია, ქართულ ფეხბურთს არაფერი დაუშავდეს და თუ პირიქით, ხელშემწყობი იქნება, ამას მხოლოდ მივესალმებით. ჩვენ მხოლოდ ქართული ფეხბურთის ინტერესებით ვხელმძღვანელობთ და ვერ ვხედავთ ვერანაირ პრობლემას, კლაუს ტოპმიოლერმა ისევ და ისევ ქართული ფეხბურთის დასახმარებლად „კაიზერსლაუტერნს“ უხელფასოდ, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტული რჩევები მისცეს. კლაუს ტოპმიოლერი დღეს ისევე გულდაწყვეტილია „კაიზერსლაუტერნის“ წარუმატებლობით, როგორც ამ გუნდის სხვა ქომაგი. აქ ერთი ნიუანსია და გეტყვით: ამას წინათ კლაუს ტოპმიოლერმა, სწორედ კრიზისის დასაძლევად, „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობას უთხრა, რომ ყურადღება გამოეჩინათ უგუნდოდ მყოფი ლევან ცქიტიშვილის მიმართ. ტოპმიოლერს მიაჩნია, რომ ცქიტიშვილი „კაიზერსლაუტერნს“ საგრძნობლად გააძლიერებს. ასეთ სახელოვან კლუბში ქართველი ფეხბურთელის თამაში კი, ცხადია, ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობი იქნება.

**— საბოლოო სიტყვას როდის იტყვით, უნდა იყოს თუ არა ტოპმიოლერი „კაიზერსლაუტერნის“ მრჩეველი?**

— ჯერჯერობით ამ საკითხზე ვმსჯელობთ.

**— ფეხბურთის ფედერაციასა და ტოპმიოლერს შორის 2-წლიანი კონტრაქტი მალე ამოიწურება. რას უნდა ველოდოთ?**

— ჩვენი მიზანი, რა ხანია, ყველამ იცის: ვითამაშოთ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. დღევანდელი ამბავიც ქომაგებისთვის ცნობილი იქნება — საქართველომ მსოფლიოს რეიტინგში შედეგი ერთბაშად 33 ადგილით გაიუმჯობესა. ყველამ კარგად დაინახა ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობები და არ გვსურს, ადრინდელ კურსს გადავუხვიოთ. ამჟამად კი კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც მიდის მსჯელობა.

**— სადღეისოდ საქმე როგორაა, ფედერაციას და ტოპმიოლერს სურთ ერთმანეთთან თანამშრობლობის გაგრძელება?**

— ეს ორივე მხარის სურვილია. თავის დროზე ტოპმიოლერთან 2+2 სისტემით გავაფორმეთ კონტრაქტი და ასეთი სიტყვები ვთქვით — შევხედოთ ნაკრებს და იქნებ ერთმანეთს უპრობლემოდ დავშორდეთო. დღეს პირიქითაა, ვუყურებთ ნაკრებს და თანამშრომლობის გაგრძელება გვსურს. ჩანს, რომ მაშინდელი კონტრაქტის ის პუნქტი, რომელიც თანამშრომლობის ორი წლით გაგრძელებას ითვალისწინებს, ანუ „2+2“, სწორია.

**კობა ინასარიძე**



# ტოპშეფასება ლევან ყენიას

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა გერმანული „ბილდის“ საშუალებით მიულოცა გელზენკირხენის „შალკეს“ ლევან ყენიას ტრანსფერი.

„მისალოცი ამბავია — განაცხადა ტოპმიოლერმა — ასეთი ფეხბურთელის შემატებაზე არც ერთი გუნდი არ იტყოდა უარს. ყენია მხოლოდ 17 წლისაა და უკვე შემიძლია ვთქვა, რომ დიდი მომავალი აქვს. მთავარია, არ დაიზაროს და ბევრი იშრომოს“.

გერმანელი ჟურნალისტები გაკვირვებულები არიან, რადგან ყენიამ 16 წლის ასაკში უკვე რამდენიმე მატჩი გამართა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ამათგან ბოლოში, შოტლანდიასთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

„ყენიას სწრაფი დრიბლინგი აქვს და ლიონელ მესის მაგონებს — ასე დაუხასიათა ტოპმიოლერმა შეგირდი ჟურნალისტებს — ის ჯერ პატარაა, მაგრამ მჯერა, ცოტა ხანში მისი ფასი მილიონები იქნება. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელიწადში „შალკეს“ მისი შენარჩუნების თავი არც ექნება“.

შეგახსენებთ, რომ ყენია ცოტა ხნის წინ გადავიდა „შალკეში“ და პირველ ეტაპზე 19-წლამდელთა გუნდში ითამაშებს.

**კახა ზალამბერიძე**

# საქართველო შესარჩევებს გაუშინაურდა

**27 ოქტომბერს** საქართველოს 17-წლამდელ ქალ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაერთვება.

ოთხგუნდა ჯგუფის მატჩები საქართველოში გაიმართება და აქვე კალენდარსაც გთავაზობთ:

**27 ოქტომბერი**

რუსთავი. „ფოლადი“
**რუსეთი — სლოვაკეთი**
თბილისი. „მიხეილ მესხი“
**საქართველო — ინგლისი**

**29 ოქტომბერი**

რუსთავი. „ფოლადი“
**საქართველო — რუსეთი**
თბილისი. „მიხეილ მესხი“
**ინგლისი — სლოვაკეთი**

**1 ნოემბერი**

რუსთავი. „ფოლადი“
**რუსეთი — ინგლისი**
ბოლნისი. „თამაზ სტეფანია“
**სლოვაკეთი — საქართველო**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XII ტური

ბრისტოლი 2:1 საუთჰემპტონი
კარდიფი 2:3 ვულვზი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XV ტური

ლიუბეკი 0:0 ბრაუნშვაიგი

## ავსტრია

ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ტიროლი 0:1 ალტახი

## ხორვატია

თასის 1/8 ფინალი

დაკოვო 0:7 ზაგრები
სეგესტა 3:0 რიეკა
შიბენიკი 2:3 დინამო
სლავენი 1:0 პომორაცი

## სლოვაკეთი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

ინტერი 0:4 არტმედია

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XXV ტური

ჰაკა 1:2 მარიეჰამნი
ოულუ 0:1 ჰიკ
ლაჰტი 0:1 მიუჰა
ჰონკა 1:2 ინტერი
კტპ 0:3 ტამპერე
ტურკუ 1:1 იარო
ვაასა 1:1 ვიიკინგიტი

## ნორვეგია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

მანდალი 2:2 ჰიონეფოსი

## უნგრეთი

თასის 1/16 ფინალი

დიორი 1:1 ფეჰერვარი
კაპოშვოლგე 2:5 დებრეცენი
კაზინცბარჩიკაი 3:1 დიოშდიორი
პუტნოკი 1:3 ვაშაში
ფერენცვაროში 2:2 კაპოშვარი
დიირმოტი 2:0 ნიირედიჰაზა
ჰონვედი 2:1 შოპრონი

## პოლონეთი

ლიგის თასი. III ტური

გროცლინი 3:3 ლეგია
ვისლა 1:1 სოსნოვიცი

## ბელგია

მეორე კლასი
გადადებული მატჩები

ვირტონი 4:1 ლომელი
ოუდ ევერლე 2:1 ტინენი
ტურნუა 1:2 ოსტენდე
ნამური 4:0 დაინცე
სენტ ჟილი 0:2 ეუპენი

## სლოვენია

თასის 1/4 ფინალი

ზელა კრაინა 0:1 კოპერი
ინტერბლოკი 3:1 ნაფტა
მარიბორი 3:1 ოლიმპია
დომჟალე 3:1 პუბლიკუმი

## რუმინეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

ფარული 0:1 დინამო

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

www.pfl.ge



ილია სპასოევიჩი ორ ლოკომოტიველს შორის

მცხეთა. 24 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 100 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 0:1 მაღაროელი

0:1 ტყებუჩავა (73)

| ვიტ ჯორჯია | მაღაროელი |
| --- | --- |
| ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, ინჯგია, ბეჭვაია, ლიპარტია (მაისაშვილი 78), ბერიაშვილი (გელაშვილი 57), ლუჭაშვილი (სახოკია 57) სათადარიგონი: ბედიაშვილი; ადამაძე, კაიშაური, პირველი მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | მაღაროელი: დოლაძე, მგელაძე, შუკაკიძე, ბრეგვაძე, ზ. ტემალაძე (ერაძე 34), გ. ქირია, გ. ილურიძე, ი. ზაბახიძე, ტყებუჩავა, გამცემლიძე, ხაჭიპერაძე (სეფერთელაძე 88) სათადარიგონი: დარჯანია; სამხარაძე, ჩოგოვაძე, გაფრინდაშვილი, ჯაჯანიძე მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე |

გაფრთხილება: ქირია (82)

მსაჯები: ლ. სილაგავა; შ. ქუხილავა, დ. კვეტენაძე; ლ. კვარაცხელია

დამკვირვებელი: პ. ბურჯალიანი

# მაღაროელი არ ხუმრობს

**ნუკრი ლოლაძე მცხეთიდან**

„სიონისა" და „ლოკომოტივის" შემდეგ, „ვიტ ჯორჯია" მესამე უმაღლესლიგელია, ჭიათურის „მაღაროელმა" რომ გააკრა ბეჭებზე — ბადრი ბრეგვაძის გუნდს ექვსი ქულა აქვს, ჯგუფში მეორე ადგილზეა და დიდი იმედით ელის 1 ნოემბერს „დინამოსთან" საშინაო მატჩს.



ბადრი ბრეგვაძე

„ვიტ ჯორჯიას" არ ჰყავდა გიორგი დათუნაიშვილი და ირაკლი კლიმიაშვილი, ხოლო ნიკა გელაშვილი და ზაზა სახოკია მეორე ტაიმში შევიდნენ შეცვლაზე, თუმც ეს „მაღაროელის" მოგებას სულაც არ აკნინებს — პირველი ლიგის დასავლეთი ზონის ლიდერი ნამდვილად იმსახურებდა მოგებას.

პირველ ტაიმში უპირატესობა მასპინძლებისა იყო, „მაღაროელს" კი კონტრშეტევებისას არაფერი გამოსდიოდა.

30-ე წუთზე ვიტელთა გიგა ბეჭვაიამ ხარიხას გაარტყა ბურთი, მალე კი იმავ ბეჭვაიამ გამჭოლი პასი გააკეთა და ვასილ ლუჭაშვილს, ვისაც დარტყმისას მცველი გადაეფარა, თორემ ვინძლო, ანგარიში გახსნილიყო.

მეორე ნახევარში პაატა დათუნაიშვილი საჯარიმოში აწვდიდა, თუმც ძელს მოახვედრა ბურთი, მერე კი ისევ ბეჭვაიამ იაქტიურა და თავური აცილა.

გელაშვილი-სახოკიას შესვლამ ვიტელთა თამაში ვერ გაამწვავა, „მაღაროელმა" სულაც უპირატესობა მოიპოვა, ბურთი დაიჭირა და გოლიც გავიდა: მასპინძელთა ალექსანდრე კვახაძემ ცუდად გაიჩერა ბურთი, რომელსაც ჭიათურელთა იმედა ტყებუჩავა დაეუფლა, ცოტა ირბინა და საჯარიმოს გარედან აულებელი დაარტყა — 0:1.

„ვიტ ჯორჯია" გასათანაბრებლად გაიწია. სახოკიამ თითქმის პირისპირ დატოვა გელაშვილი, თუმც „მაღაროელის" მეკარე შალვა დოლაძემ ფეხით მოიგერია ბურთი.

ბოლოს კი ბეჭვაიამ კინაღამ ისარგებლა სტუმართა მცველების დაბნეულობით, მაგრამ აცილა.

ისე, მხოლოდ მომენტებს ნუ ავიღებთ: „მაღაროელმა" საკმაოდ გამართული ფეხბურთი ითამაშა და ვერ წარმოიდგენდით, უმაღლესლიგელი პირველლიგელს თუ ერკინებოდა.

# სპასოევიჩი
## დინამომ ცხრა ვაკელი გატეხა

თბილისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

### ლოკომოტივი 1:2 დინამო

1:0 იმედაძე (19პ), 1:1 დილმელაშვილი (49), 1:2 სპასოევიჩი (76)

| ლოკომოტივი | დინამო |
| --- | --- |
| ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ქუხილავა, ბუდალაშვილი, ტიკურიშვილი (დ. ჩაგელიშვილი 84), მ. ცლენტი (ხოხონიშვილი 46), ბერიძე, ალავერდაშვილი, იმედაძე (ცერცვაძე 68) სათადარიგონი: ა. კობიაშვილი, ქურდაძე, კირკიტაძე, გ. მიქაძე მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ოდიკაძე, დილმელაშვილი, სპასოევიჩი, გონჩაროვი (ვანაძე 73), ს. კობახიძე (ბ. ბოლქვაძე 79), აკირემი სათადარიგონი: ლორია; თომაშვილი, გ. კაშია, ქავთარაძე, გველესიანი მწვრთნელი: დუშან უჰრინი |

გაფრთხილება: ლ. ჩაგელიშვილი (26, 69), გვარამაძე (69, 69)

გაძევება: ლ. ჩაგელიშვილი (69), გვარამაძე (69)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ზ. ახკაროლლი; ლ. ფანიაშვილი

**ილია ნანობაშვილი**

„ლოკომოტივს" კარგი შეტევა ჩაეშალა, დინამოელმა სანდრო კობახიძემ მარცხენა ფლანგიდან წამოიწყო კონტრშეტევა, საჯარიმოსკენ შეასრიალა ბურთი, სადაც ბორის განჩაროვმა გაატარა, მეკარესთან პირისპირ შესაჭრელად აწყვეტილი ილია სპასოევიჩი კი ლევან ჩაგელიშვილმა ზედ საჯარიმოს ხაზთან წააქცია. გვერდითი მსაჯი სულაც პენალტს მოითხოვდა, მთავარმა მსაჯმა კი ჯარიმა დანიშნა, თუმც ამით „ლოკომოტივს" ხეირი არ დაჰყრია — ჩაგელიშვილი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს და იქვე მეკარე დავით გვარამაძემაც მოინადირა წითელი: მსაჯს შეეკამათა, ყვითელი მიიღო, მაგრამ მერე შეაგინა თუ რა იყო, ყვითელი წითელში გადაეზარდა.

ამ დროს 1:1 იყო და ცხრაკაციან „ლოკომოტივს" 22 წუთი უნდა გაეძლო, მაგრამ ნათლად ჩანდა, რომ ამას ვერ მოახერხებდა.

გადამწყვეტი გოლი 76-ეზე გავიდა: რომან დობეშის ფლანგიდან ჩაწოდებულით სპასოევიჩი ვაკელთა მეორე მეკარე ავთანდილ ცერცვაძეს პირისპირ შეეყარა და აულებელი დაარტყა — 2:1

დარჩენილ წუთებში „დინამოს" რა უნდა გასჭირვებოდა, „ლოკომოტივს" არაქათი ჰქონდა გამოცლილი და ჟორჟ აკირემს, კობახიძეს თუ სპასოევიჩს გაუცუდდათ მომენტები.

ბოლოდან კი დავიწყეთ, მაგრამ რა ვქნათ, მთავარი ამბები სწორედ აქედან დაიწყო.

მანამდე კი სენსაციის სუნი ასდიოდა თამაშს — გიორგი კიკნაძის გუნდმა მე-19 წუთზე გახსნა ანგარიში და ტაიმიც მოიგო.

მატჩის დებიუტში დინამოელთა ნედ ზელიჩსა და დავით ოდიკაძეს არ გაუმართლათ: პირველმა თავური აცილა, მეორემ კი გვარამაძეს გადაუგდო თავზე უზუსტოდ.

ვაკელთა გოლი კი გიორგი ალავერდაშვილის მიერ მონადირებული პენალტიდან გავიდა, რომელიც გია იმედაძემ ზუსტად შეასრულა.

„დინამოს", რომელსაც დისკვალიფიცირებული გიორგი მერებაშვილი, ლევან ხმალაძე, მიხეილ ხუციშვილი და ტრავმირებული გიორგი ფეიქრიშვილი აკლდა, ტაიმის მიწურულს მიეცა შანსები, თუმც შოთა კაშიას გასროლილი გვარამაძემ მოიგერია, პირისპირ გასულმა აკირემიმ კი ვერც პასი გააკეთა და ვერც დაარტყა.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმის დაწყება და გათანაბრება ერთი იყო: დავით დილმელაშვილმა საჯარიმოს გარედან შორეულ კუთხეში აულებელი დაარტყა — 1:1.

ჰო, ეს დილმელაშვილის პირველი ოფიციალური დინამოური გოლია.

მთლიანობაში, სანახაობრივი თამაში გამოდგა, მატჩის უმეტესი ნაწილი ორმხრივ შეტევებში გაილია, ბრძოლაც იყო და სისწრაფეც. ეს, მით უმეტეს, „ლოკომოტივის" სახელოდ უნდა ითქვას, რომელიც „დინამოს" სახელს არ შეუშინდა და თამაშში აჰყვა. და ვინ იცის, ეგებ, არც წაეგოთ ვაკელებს, 58-ე წუთზე ალავერდაშვილს ცოტა დაბლა რომ დაერტყა — ხარიხა შეაზანზარა...

და კიდევ: ბოლო წუთებზე დუშან უჰრინმა ჭაბუკები, მათე ვაწაძე და ბაჩო ბოლქვაძე ჩართო თამაშში. ბოლქვაძემ სულაც პირველად ითამაშა „დინამოში"...

**A ჯგუფი**

მესხეთი (ახალციხე) 4:0 ტორპედო (ქუთაისი)

**B ჯგუფი**

ვიტ ჯორჯია (თბილისი) 0:1 მაღაროელი (ჭიათურა)

ლოკომოტივი (თბილისი) 1:2 დინამო (თბილისი)

**C ჯგუფი**

ბორჯომი 1:0 მერანი (თბილისი)

ბათუმი 0:1 ოლიმპი (რუსთავი)

**D ჯგუფი**

დილა (გორი) 1:1 ზესტაფონი

დღეს

მგლები (ზუგდიდი) — კახეთი (თელავი)

| A ჯგუფი | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 11:3 | 6 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ტორპედო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:12 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| მაღაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

| C ჯგუფი | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |

| D ჯგუფი | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:4 | 7 |
| დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| მგლები | 2 | 0 | 1 | 1 | 4:7 | 1 |
| კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

# აი, პროგრესი: საქართველო 71!



**საქართველოს** ნაკრები ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგში 71-ე ადგილზე აზტა.

შედეგი სახეზეა, შოტლანდიასთან მოგებამ ჩვენი გუნდი 33 საფეხურით წასწია — ასეთი პროგრესი საქართველოს ნაკრების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

სქოთებთან გამარჯვებამ ჩვენებს 120 ქულა შემატა, ლიტვის ნაკრები კი, რომელსაც ჯგუფში მეხუთე ადგილისთვის ვედავებით, 90-ე ადგილზეა და 67 ქულით ჩამოგვრჩება.

იმედია, საქართველო ნოემბრის რეიტინგში უფრო წინ იქნება.

რაც შეეხება უძლიერესთა მარაქას: უცნაურია, მაგრამ იტალიის ნაკრებმა ორი მოგების მიუხედავად, ყოჩობა დაკარგა და მესამეზე ჩაქვეითდა. პირველზე არგენტინა გადავიდა, მეორეზე კი ბრაზილიაა.

**ილია ნანოგაშვილი**

FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | არგენტინა | 1533 |
| 2 | 3 | ბრაზილია | 1459 |
| 3 | 1 | იტალია | 1387 |
| 4 | 6 | საფრანგეთი | 1271 |
| 5 | 4 | გერმანია | 1245 |
| 6 | 7 | ესპანეთი | 1226 |
| 7 | 5 | ჰოლანდია | 1207 |
| 8 | 10 | პორტუგალია | 1203 |
| 9 | 11 | ჩეხეთი | 1174 |
| 10 | 10 | ხორვატია | 1155 |
| 13 | 14 | შოტლანდია | 1049 |
| 22 | 17 | უკრაინა | 828 |
| 71 | 104 | საქართველო | 447 |
| 90 | 84 | ლიტვა | 380 |
| 194 | 193 | ფარერები | 12 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# მალხაზ ასათიანი ატლეტიკოსთვის

## ითამაშებს დღეს ქართველი?

დღეს მალხაზ ასათიანი და მოსკოვის „ლოკომოტივი“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპის იწყებენ, თან რა მატჩით — არათუ ჯგუფის, მთლიანად უეფას თასის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობენ. მალხაზმა, შესაძლოა, ვერ ითამაშოს, რაკილა წელის მკურნალობას განაგრძობს. რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში, „ლუჩ-ენერგიასთან“ მახომ ბოლომდე ვერ ჩაამთავრა მატჩი, მას შემდეგ პირველად გუშინ ივარჯიშა და ვნახოთ... სავარაუდოდ, უეფას თასის ერთადერთი ქართველი უფრო ითამაშებს. რუსმა ჟურნალისტმა ასათიანს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა...

— „ატლეტიკო“ უდავოდ ფავორიტია ჯგუფში. ძალიან საინტერესო და დაძაბულ თამაშს ველი. პირველი მატჩი ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — თუ მოვიგებთ, ჯგუფიდან გასვლა გაგვიადვილდება — ამბობს მალხაზი.

**— ცუდია, ასეთ ძლიერ გუნდთან რომ იწყებთ ჯგუფურ ეტაპს?**

— ეს არც ისე პრინციპული საკითხია. მთავარია, რომ შინ ვთამაშობთ. აი, სტუმრად უფრო გაგვიჭირდებოდა.

**— საკუთარი მოედანი დიდი უპირატესობაა „ატლეტიკოსთან“?**

— კი. ეს ალბათ ჩვენი ერთ-ერთი თვალსაჩინო უპირატესობაა.

**— 2005-06 წლების სეზონში ერთხელ „ესპანიოლთან“, ორჯერ კი „სევილიასთან“ წააგეთ. რა შთაბეჭდილება მოახდინეს ესპანურმა კლუბებმა?**

— ამას განსჯა სჭირდება?! „სევილიამ“ იმ წელს უეფას თასი მოიგო, მერე კი — სუპერთასი.

**— და რატომ თამაშობს „ლოკომოტივი“ ასე ცუდად ესპანელების წინააღმდეგ?**

— არ ვიცი, თუმც ხუთშაბათს ვეცდებით ცუდი ტრადიციის დარღვევას.

**— „ატლეტიკოს“ თამაშები უკვე გაარჩიეთ?**

— ჯერ არა. ვიცით, რომ „ატლეტიკო“ წარმატებით თამაშობს პრიმერადივიზიონში. მგონი, ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგეს, კარგ ფორმაში არიან და ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავთ.

**— რომელიმეს გამოარჩევთ?**

— ალბათ, თავდამსხმელ დიეგო ფორლანს და ორ ნახევარმცველს — რაულ გარსიასა და მაქსი როდრიგესს, რომელიც არგენტინის ნაკრებში თამაშობს.

**— რუსულ პრემიერლიგაში „ლოკომოტივს“ მოტივაცია დაეკარგა. უეფას თასზე კეთდება აქცენტი?**

— პრემიერლიგაში ყველაფერი არ დაგვიკარგავს. მეოთხე ადგილის შანსი გვაქვს და ბოლომდე ჩავეჭიდებით, ასე რომ, მარტო უეფას თასზეც არ კეთდება აქცენტი.

**ილია ნანოგაშვილი**





# შოტლანდიამ ვერ ითამაშა კი არა, არ ათამაშეს!

## დავით მუჯირს კრილიას გავარდნაზე არ უფიქრია

სანაკრებო თამაშის მოახლოება და ქართველი ლეგიონერების ტრავმები ერთია. კლაუს ტოპმიოლერი ამ უილბლობაზე თითქმის ყველა პრესკონფერენციაზე თუ ინტერვიუში ჩივის, იტალია-შოტლანდიასთან თამაშებშიც რამდენიმე წამყვანი კაცი დაგვაკლდა და მათ შორის, დავით მუჯირიც. „მუმუს“ სამარაში რომ დავუკავშირდით, პირველ რიგში, ჯანმრთელობის ამბავი ვკითხეთ...

— ახლა უკეთ ვარ, თუმც საწყენია, რომ მაინცდამაინც ნაკრების მატჩებს დაემთხვა ჩემი ტრავმა. თბილისში ვიყავი ჩამოსული და მაინც მქონდა პატარა იმედი, რომ შოტლანდიასთან თამაშს შევძლებდი, მაგრამ ფეხმა არ გამიშვა.

**— კვირას „კრილიამ“ 3:0 მოუგო „რუბინს“ და ბოლო წუთზე კი შეხვედი მინდორზე...**

— გუნდთან ერთად არც მივარჯიშია, ისე შემიყვანა „კრილიას“ მწვრთნელმა განაცხადში. ბოლო წუთზე მხოლოდ სიმბოლურად შემიყვანა მინდონზე, უკვე 3:0 იყო და აზრი აღარ ჰქონდა.

**— ანუ მომდევნო ტურში უკვე თავისუფლად შეგეძლება თამაში?**

— კი. უკვე დავიწყე გუნდთან ერთად ვარჯიში და ყველაფერი რიგზეა.

**— „კრილიაში“ ქართველი ლევან გულორდავა ისინჯება. მასზე რას იტყვი, რამდენად მოსწონთ მწვრთნელებს?**

— ჯერ დიდხანს არ გვივარჯიშია, მაგრამ რაც მოვასწარი და ვნახე, საკმაოდ ნიჭიერი ჩანს. მწვრთნელებიც ასე ამბობენ და ვნახოთ...

**— მოგების მიუხედავად, „კრილია“ გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია. სამი ტური დარჩა პრემიერლიგის დასრულებამდე და როგორ ფიქრობ, შეინარჩუნებთ ადგილს?**

— ჩვენს გარდა, კიდევ ექვს გუნდს ემუქრება გავარდნა. მეცამეტე ადგილზე ვართ და მეცხრეზე მყოფ „ტომს“ მხოლოდ ორი ქულით ჩამოვრჩებით. ცხრილში ისეთი მდგომარეობაა, უკვე გავარნილი „როსტოვის“ გარდა ყველა გუნდს მოტივაცია აქვს. ალბათ არ გავვარდებით, რადა ჩვენ მოვყვებით იმ ერთში, რომელიც უნდა გავარდეს. ძნელი მატჩები კი დაგვრჩა: ცსკას, „ლოკომოტივს“ და „ხიმკის“ ვხვდებით.

**— კონტრაქტი რამდენწლიანი გაქვს? იმიტომ გეკითხები, რომ, დავუშვათ, „კრილია“ გავარდეს...**

— სამწლიანი კონტრაქტი მაქვს, თუმც, როცა „კრილიაში“ მოვდიოდი, გავარდნაზე არც მიფიქრია. სიმართლე გითხრათ, ახლაც არ ვფიქრობ.

**— კარგი. შოტლანდიასთან სანაკრებო მატჩზე გკითხავ: როგორი საყურებელი იყო ტრიბუნიდან?**

— ზოგმა თქვა, შოტლანდიამ ვერ აჩვენა თავისი ძალაო, მაგრამ მე სხვანაირად ვფიქრობ — საქართველომ ითამაშა ძალიან კარგად. გამართული ფეხბურთი აჩვენა გუნდმა, ყველამ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. ამასთან, გავითვალისწინოთ მოტივაციაც, რაც შოტლანდიას უფრო მეტი უნდა ჰქონოდა.

**— ნაკრებში სამმა 17 წლის ფეხბურთელმა ითამაშა. როგორ ფიქრობ, მათ უკვე შეუძლიათ სტაბილურად ნაკრებში კარგი თამაში?**

— ამას ჯერ ვერ ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ვერც უკრაინასთან ვითამაშე, ვერც იტალიასთან და ვერც შოტლანდიასთან. თუმც ვარჯიშებს და მატჩებს რომ ვუყურე, ძალიან დიდი შთაბეჭდილება დამრჩა სამივეზე. უდავოდ, ნიჭიერები არიან. მართალია, საქართველოში ტალანტები ხშირად იკარგებიან, მაგრამ იმედია, ეს ბიჭები თავდაუზოგავად იმუშავებენ და ცოტას არ დასჯერდებიან.

**ილია ნანოგაშვილი**

## უეფას თასი 2007-08. ჯგუფური ეტაპი

# ტონი და რიბერი ზვეზდას ვერ ნახავენ

I ტური

A ჯგუფი
ზენიტი — ალკმაარი
ევერტონი — ლარისა

B ჯგუფი
პანათინაიკოსი — აბერდინი
ლოკომოტივი — ატლეტიკო

C ჯგუფი
ესბიერგი — აეკ
ვილიარეალი — ფიორენტინა

D ჯგუფი
ბრანი — ჰამბურგი
ბაზელი — რენი

E ჯგუფი
სპარტა — ციურიხი
ლევერკუზენი — ტულუზი

F ჯგუფი
ბოლტონი — ბრაგა
ცრვენა ზვეზდა — ბაიერნი

G ჯგუფი
ანდერლეხტი — ჰაპოელი
ტოტენჰემი — ხეტაფე

H ჯგუფი
ჰელსინგბორგი — პანიონიოსი
ბორდო — გალათასარაი


ზე რობერტოს „ბაიერნს“ ლიდერები აკლია

AFP

**მიუნხენის** „ბაიერნს“ ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ ვერ დაეხმარებიან ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი. ამ სეზონში რვა გოლის გამტან იტალიელს გრიპი შეჰყრია, ფრანგს კი მუხლი სტკივა. ტრავმირებულნი არიან მარტინ დემიკელისი და დანიელ ვან ბუიტენი. ამიტომ დაცვის ცენტრში ლუსიო და კრისტიან ლელი ითამაშებენ.

პრემიერლიგის აუტსაიდერი „ბოლტონი“ „ბრაგას“ უმასპინძლებს. ინგლისურ კლუბს დროებით შოტლანდიელი არჩი კნოქსი თავკაცობს და დღეს უეფას თასზე მისი დებიუტი შედგება.

„ბოლტონმა“ შაბათს პრემიერლიგაში „არსენალთან“ 0:2 წააგო.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტუმარი მადრიდის „ატლეტიკოა“, რომელმაც გასულ უქმეებზე „სარაგოსა“ 4:0 გაანადგურა. გოლები ლუის გარსიამ, ფორლანმა და მაქსი როდრიგესმა (2) გაიტანეს. „ლოკომ“ კი შინ ვერ მოუგო „ლუჩ-ენერგიას“ (1:1). მოსკოვური გუნდის ქართველმა ლეგიონერმა მალხაზ ასათიანმა თქვა: „საინტერესო და დაძაბულ ბრძოლას ველი. პირველი მატჩი განსაკუთრებულია და თუ მოვიგებთ, ჯგუფიდან გასვლა გაგვიადვილდება. ისიც კარგია, რომ შინ ვთამაშობთ, რადგან დარწმუნებული ვარ, მადრიდში ძალიან გაგვიჭირდებოდა. საკუთარი მოედანი და ბევრი გულშემატკივარი — ალბათ ესაა ჩვენი ერთადერთი უპირატესობა პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან. „ატლეტიკომ“ ამ სეზონში ოთხი მატჩი მოიგო და საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს“.

ვილიარეალში მაგარი თამაში უნდა გამოვიდეს, რადგან ერთმანეთს პრიმერადივიზიონის მეორე და სერია A-ს მესამე გუნდები ხვდებიან.

„ვილიარეალმა“ შაბათს თვით „ბარსელონას“ მოუგო 3:1, ხოლო „ფიორენტინამ“ „სიენას“ სძლია 3:0 და ამ სეზონში ჯერაც დაუმარცხებელია.

ნორვეგიის ახალგამომცხვარი ჩემპიონი „ბრანი“ „ჰამბურგს“ დაუხვდება და მასპინძლებს ორი მთავარი ფეხბურთელი დააკლდება. ნახევარმცველი მარტინ ანდრესენი და ფორვარდი რობი ვინტერსი ტრავმირებულნი არიან. თავის მხრივ, „ჰამბურგს“, რომელმაც „შტუტგარტს“ 4:1 მოუგო, რაფაელ ვან დერ ვაარტი, ნაიჯელ დე იონგი და პაულუ გერერო ვერ დაეხმარებიან.

საფრანგეთის ჩემპიონატის მესამედგილოსანი „რენი“ შვეიცარიაში „ბაზელს“ ეწვევა, მაგრამ ფრანგებს ტრავმის გამო მეგოლე ოლივიე ტომერი გამოაკლდათ.

„ლევერკუზენის“ მეტოქე „ტულუზია“, რომელსაც ლიდერი იოჰან ელმანდერი დაუშავდა და მის გარეშე მოუწევს გერმანიაში ბრძოლა.

„ლევერკუზენმა“ შაბათს შინ „დორტმუნდს“ ვერ მოუგო (2:2), ხოლო „ტულუზი“ ასევე შინ „სენტ ეტიენთან“ 0:2 დამარცხდა. ბუნდესლიგელებს ტრავმირებული ჰყავთ ბარნეტა, ჰაგი, შნაიდერი და რამელოვი.

„ალკმაარი, რომელიც ამ სეზონში შარშანდელივით ვერ ყოჩაღობს, სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ ეთამაშება.

„ძალიან ძლიერი გუნდია — თქვა ლუის ვან გაალმა მეტოქეზე — მაგრამ შარშან ასეთ ძლიერებსაც ვუგებდით. ვიმედოვნებ, რომ დღეს სასურველ შედეგს მივაღწევთ, თუმც ჩვენთვის მარცხიც არ იქნება ტრაგედია. ბევრი გუნდი წაგებით იწყებს ხოლმე ტურნირს და მერე მაინც ჯგუფში პირველ ადგილზე გადის. ძალიან გამიხარდება დიკ ადვოკაატის ნახვა. მან ყველგან წარმატებით მიაღწია, სადაც კი იმუშავა“.

„ალკმაარმა“ ჩემპიონატი რვიდან ორი მატჩი მოიგო და მეთორმეტე ადგილზეა. კვირას ვან გაალის გუნდი შინ „ჰერენვენთან“ 0:1 დამარცხდა, ხოლო „ზენიტმა“ „ხიმკის“ 4:1 სძლია და რუსულ პრემიერლიგაში მეორე საფეხურთზეა.

ჰოლანდიურ კლუბს ტრავმირებული ჰყავს მცველი გრეტარ სტეინსონი და ნახევარმცველი დემი დე ზეეუვი.

პრემიერლიგის და პრიმერადივიზიონის მაჩანჩალები — „ტოტენჰემი“ და „ხეტაფე“ — ლონდონში შეხვდებიან. ორივე თავ-თავის ჩემპიონატში ბოლოდან მესამე ადგილზეა. „მამლებმა“ ორშაბათს „ნიუკასლთან“ სტუმრად 1:3 წააგეს და კვლავ ალაპარაკდნენ მარტინ იოლის მოხსნაზე.

„სეზონის დაწყებამდე ვგრძნობდი, რომ ასეთი წნეხის ქვეშ მოვექცეოდი, მაგრამ მუშაობას ვაგრძელებ და „ხეტაფესთან“ მოგებაზე ვფიქრობ“ — თქვა მარტინ იოლმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინგლისი

ჩემპიონატი. XII ტური

ჰალი — ბარნსლი 3:0; ბარნსლი — ნორვიჩი 2:1; ქოვენტრი — უოტფორდი 0:3; იფსვიჩი — კოლჩესტერი 3:[illegible]; ლესტერი — შეფილდი 0:1; პრესტონი — ქუინზ პარკი 0:0; უენსდი — სკანთორპი 1:2; ვესტ ბრომვიჩი — ბლექპული 2:1; ჩარლტონი — პლიმუთი 1:2; კრ. პალასი — სტოკი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 12 | 9 | 2 | 1 | 22:12 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 6 | 2 | 4 | 25:15 | 20 |
| ბრისტოლი | 11 | 5 | 5 | 1 | 17:11 | 20 |
| პლიმუთი | 12 | 5 | 5 | 2 | 17:13 | 20 |
| სტოკი | 12 | 5 | 5 | 2 | 18:15 | 20 |
| ჩარლტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:14 | 19 |
| ვულვზი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:9 | 18 |
| იფსვიჩი | 11 | 5 | 3 | 3 | 19:17 | 18 |
| სკანთორპი | 12 | 5 | 3 | 4 | 15:15 | 18 |
| ბარნლი | 11 | 4 | 5 | 2 | 18:16 | 17 |
| ბარნსლი | 12 | 4 | 5 | 3 | 17:18 | 17 |
| საუთჰემპტონი | 11 | 5 | 1 | 5 | 20:23 | 16 |
| ჰალი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:14 | 15 |
| ქოვენთრი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:18 | 15 |
| კოლჩესტერი | 12 | 3 | 5 | 4 | 23:22 | 14 |
| კარდიფი | 11 | 3 | 4 | 4 | 15:15 | 13 |
| ბლექპული | 12 | 2 | 7 | 3 | 15:17 | 13 |
| ლესტერი | 11 | 2 | 6 | 3 | 10:9 | 12 |
| შეფილდი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:20 | 12 |
| კრ. პალასი | 12 | 2 | 5 | 5 | 14:16 | 11 |
| პრესტონი | 12 | 2 | 5 | 5 | 12:15 | 11 |
| უენსდი | 12 | 3 | 1 | 8 | 14:22 | 10 |
| ნორვიჩი | 12 | 2 | 2 | 8 | 7:16 | 8 |
| ქუინზ პარკი | 11 | 1 | 5 | 5 | 9:21 | 8 |

### იტალია

სერია B. გადადებული მატჩი

ბრეშა 0:3 მანტოვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიზა | 10 | 8 | 0 | 2 | 18:13 | 24 |
| ბრეშა | 10 | 7 | 2 | 1 | 18:9 | 23 |
| კიევო | 10 | 6 | 3 | 1 | 17:10 | 21 |
| ბოლონია | 10 | 6 | 3 | 1 | 12:5 | 21 |
| ალბინოლეფე | 10 | 6 | 2 | 2 | 19:12 | 20 |
| ფროზინონე | 10 | 6 | 1 | 3 | 16:12 | 19 |
| ლეჩე | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 18 |
| მოდენა | 10 | 5 | 2 | 3 | 15:10 | 17 |
| რიმინი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:11 | 16 |
| მანტოვა | 10 | 4 | 3 | 3 | 12:7 | 15 |
| მესინა | 10 | 4 | 3 | 3 | 8:10 | 15 |
| ასკოლი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:10 | 12 |
| ბარი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | 11 |
| გროსეტო | 10 | 2 | 4 | 4 | 6:10 | 10 |
| ტრიესტინა | 10 | 2 | 4 | 4 | 11:16 | 10 |
| პიაჩენცა | 10 | 3 | 0 | 7 | 6:14 | 9 |
| ვიჩენცა | 10 | 1 | 5 | 4 | 12:16 | 8 |
| რავენა | 10 | 2 | 2 | 6 | 13:20 | 8 |
| სპეცია | 10 | 2 | 1 | 7 | 12:15 | 7 |
| ჩეზენა | 10 | 0 | 7 | 3 | 7:10 | 7 |
| ტრევიზო | 10 | 2 | 0 | 8 | 8:18 | 6 |
| აველინო | 10 | 1 | 2 | 7 | 5:15 | 5 |

### ჩილე

კლაუსურა. XV ტური

პუერტო მონტი — ლა სერენა 2:0; უნიონ ესპანიოლა — უნივერსიდად კათოლიკა 1:3; ო ჰიგინსი — მელიპილია 3:0

# ესპანიოლი სწორად გავთვალე

## კამენი თურმე ქვასავით მაგარია

„ესპანიოლის“ მეკარე კარლოს კამენი შაბათს პრიმერადივიზიონში მეასე მატჩს ითამაშებს. კამერუნელი გოლკიპერი მხოლოდ 23 წლისაა, თუმცა „თუთიყუშთა“ კარის საიმედო დარაჯობით „ესპანიოლის“ ფანებს სამუდამოდ დაამახსოვრა თავი...



— ჯერ, რა თქმა უნდა, მინდა, „იუბილე“ მოგილოცოთ...

— გმადლობთ. გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემს კარიერაში ახლა ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია.

— ამ ასი მატჩში უამრავი რამ ნახეთ და განიცადეთ...

— ცხადია, თუმცა ძირითადად კარგი ეპიზოდები მაქვს მოსაგონებელი. თუ შემეკითხებით, რომელია ჩემი საუკეთესო მატჩი, ან საუკეთესო მოგონება რას უკავშირდება, უყოყმანოდ გიპასუხებთ: ეს ჩემი პირველი დერბია „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასთან“. თამაში 0:0 დასრულდა და საქმეს კარგად გავართვი თავი.

— და ყველაზე ავადმოსაგონარი რომელი მატჩია?

— გასულ სეზონში „სანტიაგო ბერნაბეუზე“. შეხვედრა „რეალმა“ 4:3 მოიგო და გთხოვთ, იმ მატჩის შესახებ ნუღარ შემეკითხებით.

— **უკვე მეოთხე სეზონია, „ესპანიოლში“ ხართ...**

— პირველი სეზონის ბოლოს „ესპანიოლიდან“ წასვლაში დარწმუნებული ვიყავი. მაშინ შემოთავაზებები არ მაკლდა, თუმცა ახლა ვხვდები, რომ სწორად მოვიქეცი.

— **ამ წლების განმავლობაში სერიოზული სატრანსფერო შემოთავაზებები რომელი კლუბებიდან გქონდათ?**

— გასულ სეზონში ჩემი შეძენით მოსკოვის ცსკა დაინტერესდა. წელიწადში ორ მილიონზე მეტი ხელფასი აღმითქვეს. ეს დიდი ფული, თუმცა გადავწყვიტე, „ესპანიოლში“ დავრჩე.

— რა ოცნება გაქვთ?

— კამერუნთან ერთად აფრიკის თასის მოგება და „ესპანიოლთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა. მაქვს სხვა, ძალიან სანუკვარი ოცნებაც, რომელიც ჩემი მეორე შვილის დაბადებას უკავშირდება. მეუღლე ორსულობის მეხუთე თვეშია და ჯერ არ ვიცით, ბიჭი იქნება თუ გოგო... მიხარია, რომ ჩემი შვილი ბარსელონაში დაიბადება.

— **საჩემპიონთალიგოდ გაისისთვის ემზადებით?**

— რატომაც არა. წლეულს ბრძოლისუნარიანი, მაღალი დონის გუნდი გვყავს და, ვფიქრობ, ივან დე ლა პენიას დაბრუნებამაც „ესპანიოლი“ საკმაოდ გააძლიერა.

— რას ფიქრობს კარლოს კამენი თავის სამომავლო გეგმებზე?

— კიდევ რამდენიმე წლით მინდა „ესპანიოლში“ დარჩენა. როგორც ფეხბურთელი, უკვე ჩამოვყალიბდი, დღითიდღე უკეთესად ვიცავ კარს და ვარ კლუბში, რომელიც ჩემს შესაძლებლობებს პატივს სცემს და ჯეროვნად აფასებს.

— ანუ წასვლას არ აპირებთ...

— თავიდან, როცა „ესპანიოლში“ მოვედი, იტალიურ სერია A-ს რომელიმე გუნდში მინდოდა კარიერის გაგრძელება. ახლა იტალიელთა ლიგა ძველებურად აღარ მხიბლავს. „ესპანიოლში“ დარჩენას ვაპირებ, თუმცა კარგი იქნებოდა, ინგლისურ პრემიერლიგაშიც მეთამაშა.

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური


რონალდინიო „ჩაფართა“ ალყაში

AFP

# რა ვერ დაინახა ამ სასტვენიანმა

**E ჯგუფი**

**რეინჯერსი 0:0 ბარსელონა**

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, ვეირი, პაპაჩი, კუელიარი, ფერგიუსონი, ტომსონი, ნოვო (ბისლი 72), ედამი, მაკკალოხი, კუზინი
**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი
**ბარსელონა:** ვალდესი, ტურამი, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ინიესტა, გუდიონსენი, რონალდინიო, მესი, ანრი (დოს სანტოსი 82)
**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი
**გაფრთხილება:** ტომსონი, მილიტო, პაპაჩი, აბიდალი, ვეირი
**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)
**50 000 მაყურებელი**

**ამ** მატჩის შემდეგ ლეო მესიმ ჟურნალისტებს განუცხადა, „რეინჯერსის“ დარ გუნდებთან ბრძოლა ძნელია და „აიბროქსზე“ შოტლანდიელებთან ჭიდილი ამიტომაც გაგვიჭირდაო. ახლა „ბარსა“ ჯგუფის ლიდერია და თუ „რეინჯერსთან“ მომდევნო მატჩში გაიმარჯვა, ჯგუფიდან გასვლას გაინაღდებს.

შინაურ პრიმერადივიზიონში „ვილიარეალთან“ ამასწინანდელმა წაგებამ კატალონიურ ინჩადას, ცხადია, გული ატკინა, მაგრამ სამხრეთელები „აიბროქსზე“ მაინც ვაჟკაცურად გამოიყურებოდნენ. სტუმარი ფანობა მასპინძლებს სიმღერა-ღრიალში არ ჩამორჩებოდა, ძირითადში დაბრუნებულმა რონალდინიომ კი ციდან ვარსკვლავები ვერ მოწყვიტა, თუმცა პირველ ტაიმში შესანიშნავად შესრულებული საჯარიმოთი მაკგრეგორის კარის ძელი შეაზანზარა.

გუდიონსენმაც დაალწია ტრავმებს თავი და „აიბროქსზე“ ხავისა და ინიესტას მხარდამხარ იბრძოლა. პუიოლი კი იმ პოზიციაზე თამაშობდა, საიდანაც ფეხბურთში ფეხი აიდგა — სამშაბათს „ბარსელონას“ ცენტრალური მცველი მარჯვენა უკანახაზელად ვიხილეთ.

სტუმრებს ანგარიშში დაწინაურება ადრევე შეეძლოთ. კარლოს კუელიარმა მესის სახიფათო დარტყმა მოიგერია, ხოლო ავსტრიელმა მსაჯმა კონრად პლაუცმა საჯარიმოში ხელით თამაში ვერ შენიშნა და, ცხადია, პენალტიც არ დაუნიშნა „ბარსას“.

შესვენების შემდეგ ბურთზე კონტროლს კვლავაც კატალონიელები ინარჩუნებდნენ, თუმც მაკგრეგორის მისადგომების დასალაშქრად მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ. „რეინჯერსმა“ კი მატჩის მიწურულს მოიკრიბა ღონე, თუმც გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო.

საფინალო სასტვენის მერე „აიბროქს პარკზე“ ადგილობრივებმა მოპოვებული ქულა მხიარულად აღნიშნეს. ბარსელონელებს კი, მართალია, სიხარულისგან სალტოები არ გაუჭიმავთ, მაგრამ უკმაყოფილებაც არ ეტყობოდათ...

**შტუტგარტი 0:2 ლიონი**

**0:1 ფაბიო სანტუში (56), 0:2 ბენზემა (79)**
**შტუტგარტი:** შეფერი, ოსორიო, ტასკი, ფ. მეირა, ჰილბერტი, მაისნერი (ხედირა 62), ბაშთურქი (ევერტონი 71), პარდო, ფარნერუდი, კაკაუ, გომესი
**მწვრთნელი:** არმინ ფეჰ
**ლიონი:** ვერკუტრე, რეველიერი, ანდერსონი, სკილაჩი, გროსო, კალსტრიომი, ჟუნინიო, ფაბიო სანტუში, ბენზემა (ბოდმერი 84), გოვუ (კლერკი 86), ბენ არფა (ა. კეიტა 74)
**მწვრთნელი:** ალენ პერენი
**გაფრთხილება:** კალსტრიომი, ჰილბერტი, ხედირა, ვერკუტრე, კაკაუ
**მსაჯი:** ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატიშტა (პორტუგალია)
**50 000 მაყურებელი**

გერმანელები კრიზისისგან დაუძლურებულნი არიან, ამიტომაც „დაიმლერ სტადიონზე“ ფრანგების ბატონობა თვალში საცემი იყო. ხოლო ის, რომ გაცილებით ძლიერმა „ლიონმა“ ანგარიშის გახსნა პირველ ტაიმში ვერ მოახერხა, ქარიმ ბენზემას უზუსტობის და ალემანთა გოლკიპერ რაფაელ შეფერის დამსახურებაა.

შესვენებამდე ბენზემას საუკეთესო შანსი 39-ე წუთზე მიეცა, როდესაც შეფერთან პირისპირ დარჩენილმა ბურთს ფეხი უხერხულად მიუცაცუნა. იქამდე კი თვალფხიზელმა შეფერმა კალსტრიომის გასროლა კუთხურზე გადააგდო და ტაიმის მიწურულსაც ივაჟკაცა, როდესაც მასთან პირისპირ გასულ სიდნი გოვუსთან დუელში იმარჯვა.

ბურთი მეტხანს „შტუტგარტთან“ იყო, თუმცა მასპინძელთა ფორვარდ მარიო გომესის „თვლემის“ გამო არმინ ფეეს ბიჭები დამაგვირგვინებელ ეპიზოდებში სცოდავდნენ. „ლიონმა“ კი გრძელი პასები არჩია და გაუმართლა კიდეც — ბენზემამ და გოვუმ მცველები ჯვარს აცვეს.

მეორე ტაიმში, კუთხურის შემდეგ „ლიონმა“ ნანატრი გოლი იზეიმა. ბურთი იმ ეპიზოდში ფაბიო სანტუშთან მიგორდა და იქამდე ჩაუქმა შეფერმა ბრაზილიელის წინაალმდეგ ვერაფერი გააწყო.

„შტუტგარტმა“, ცხადია, საპასუხო იერიშები სცადა, მაგრამ მარტო ბრძოლის სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა, „ლიონი“ კი (განსაკუთრებით ბენ არფა) უფრო მეტ ხიფათს ქმნიდა.

ადგილობრივთა გამამწარებულმა არფამ მოედანი 74-ე წუთზე დატოვა, თუმც ფრანგებმა სახიფათო ეპიზოდების კასკადი გააგრძელეს და შეხვედრის მიწურულს „შტუტგარტის“ ტანჯვას ბოლო ბენზემამ მოუღო.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

# ერთი შენ, ერთი მე

**G ჯგუფი**

**ცსკა 1:2 ინტერი**

**1:0 ჟო (32), 1:1 კრესპო (52), 1:2 სამუელი (80)**
**ცსკა:** მანდრიკინი, ვ. ბერეზუცკი (გრიგორიევი 45), იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ალდონინი, დუდუ (ედუარდო 42; იანჩიკი 76), დანი კარვალიუ, კრასიჩი, რახიმიჩი, ჟირკოვი, ჟო
**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ძანეტი, კორდობა, სამუელი, მაქსველი, ფიგუ, ვიეირა (სტანკოვიჩი 17), კამბიასო, დაკური (სოლარი 77), კრესპო (კრუზი 62), იბრაჰიმოვიჩი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**გაფრთხილება:** ფიგუ, დანი კარვალიუ, სოლარი
**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)
**30 000 მაყურებელი**

**მოსკოვის** ცსკა-ს ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსის შესანარჩუნებლად „ინტერთან“ აუცილებლად მოგება სჭირდებოდა.

ვალერი გაზაევის გუნდი პირველ ტაიმში აშკარად სჯობდა თითქოს არასრული ძალებით მოთამაშე „ნეროაძურის“ და გოლიც დაიმსახურა. 32-ე წუთზე ახალგაზრდა ბრაზილიელმა ჟომ ულამაზესი მოჭრილი დარტყმით თავზე გადაავლო ბურთი ჟულიო სეზარს და 1:0.

მიუხედავად ამისა, ტაიმი მოსკოველთათვის ცუდად დამთავრდა, მათ ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე დაუშავდათ — ჯერ დუდუ შეიქნა შესაცვლელი, მერე კი ალექსეი ბერეზუცკი.

52-ე წუთზე ცსკა-ს დაცვა ჩავარდა, შედეგად ბურთი ერნან კრესპოს მიუვიდა, ვისაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. ამის მერე „ინტერი“ უკეთ გამოიყურებოდა, თითქოს მილანელებს მეტი ძალა შერჩენოდათ და როცა მოისურვებდნენ, მაშინ მოუმატებდნენ.

ყველაფერი მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გადაწყდა კურიოზული გოლით — ლუიშ ფიგუს ჩაწოდებულს ვალტერ სამუელმა თავი შეაგება. ბურთი ვენიამინ მანდრიკინის წინ დახტა და მინდვრის უხარისხობის გამო მიმართულება ოდნავ შეიცვალა, თუმც მოსკოველთა მეკარე მაინც ვალდებული იყო, ეს ბურთი აეღო...

სხვათა შორის, ეს ვალტერ სამუელის 43-ე მატჩი და პირველი გოლი გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში. ლუიშ ფიგუმ კი საიუბილეო, მეასე შეხვედრა ჩაატარა.

ახლა ჩემპიონთა ლიგაში ასი ან მეტი მატჩი ექვს ფეხბურთელს აქვს ნათამაშები.

ცსკა-ს მწვრთნელი ვალერი გაზაევი: „პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და მომენტებიც შევქმენით, მეორეში „ინტერი“ გვჯობდა. ვაგნერ ლავი ისედაც გვაკლდა, პირველი ნახევრის მიწურულს კი ორი იძულებული შეცვლის გაკეთებაც მოგვიხდა, რამაც დაგვასუსტა. მეორე გოლი მეკარის უხეში შეცდომის გამო გავუშვით, ისევე, როგორც „ფენერბაჰჩესთან“ წინა მატჩში. ასე კი ჩემპიონთა ლიგაში ქულებს ვერ დავაგროვებთ“.

„ძლიერი მეტოქე გვყავდა, ცსკა-მ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი და რთული მატჩი დამსახურებულად მოვიგეთ. გოლის გაშვების შემდეგ ინიციატივას დავეუფლეთ და მეტის გატანაც შეგვეძლო. ძალიან ვწუხვარ, რომ ახლახან მომჯობინებული პატრიკ ვიეირა ისევ დაშავდა. იმედია, ტრავმა სერიოზული არ იქნება“ — თქვა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

**პსვ 0:0 ფენერბაჰჩე**

**პსვ:** გომეში, კრომკამპი, სალსიდო, ადო (ზონეველდი 58), მარსელისი, სიმონსი, მენდესი (კუვერმანსი 58), პერესი, ბაკალი (აისატი 78), ლაზოვიჩი, ფარფანი
**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი
**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, ლუგანო, დრაჩენა, გოხანი, რ. კარლოსი, ვედერსონი, მეჰმეთი, ალექსი (ბილგინი 35), დენიზი, სემიჰი (კაზიმ-რიჩარდსი 72), დეივიდი
**მწვრთნელი:** ზიკო
**გაფრთხილება:** მარსელისი, მეჰმეთი, ლაზოვიჩი, დენიზი, ლუგანო, ფარფანი
**გაძევება:** დეივიდი (66)
**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)
**35 000 მაყურებელი**

ბრაზილიელი ზიკოს დამოძღვრილმა „ფენერბაჰჩემ“ დაამტკიცა, რომ წინა მატჩში ოთხი ქულა შემთხვევით არ მოუპოვებია და „ფილიპსიდან“ ქულა წამოიღო, ეს კი ადვილი საქმე როდია. მით უმეტეს, რომ თურქულ კლუბებს პსვ-სთან ბოლო ექვსი ვიზიტიდან ექვსივე წაეგოთ.

ეინდჰოვენელთა ახალგაზრდა ფეხბურთელ მიკე ზუნეველდს ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი ჰქონდა. სწორედ მისი წაქცევისთვის გააძევეს მინდვრიდან 66-ე წუთზე ფენერბაჰჩელი დეივიდი.

პსვ უპირატესობას ფლობდა და მომენტები ამ ეპიზოდამდეც ჰქონდა და მას მერეც, მაგრამ გატანა ვერ შეძლო. უშანსოდ არც თურქები იყვნენ და მთლიანობაში ფრე ლოგიკურ შედეგად უნდა ჩავთვალოთ.

„სისწრაფე და შეტევაში სიმწვავე გვაკლდა. მოგება გვინდოდა, მაგრამ ფრითაც კმაყოფილი ვარ. ჯგუფიდან გასვლის შანსი შევინარჩუნეთ“ — განაცხადა პსვ-ს თავკაცმა რონალდ კუმანმა.

ზიკო: „ძალიან კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით, დაცვაში. მომენტებიც გვქონდა, მაგრამ ფრეც მისაღები შედეგია. იმედია, ასე გავაგრძელებთ და ჯგუფიდან გავალთ“.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| პსვ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

# ნაცემი ვუჩინიჩი

## გოლი დირექტორმა იცოდა

**F ჯგუფი**

**დინამო 2:4 მანჩესტერი**

0:1 ფერდინანდი (10), 0:2 რუნი (18), 1:2 რინკონი (33), 1:3, 1:4 რონალდუ (41, 68პ), 2:4 ბანგურა (78)

**დინამო:** შოვკოვსკი, დიაკიტე, გიოანე (მილევსკი 46), გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, კორეა (როტანი 83), რინკონი, გუსევი, იუსუფი, ბანგურა, შაცკიხი (ბელკევიჩი 46)

**მწვრთნელი:** იოჟეფ საბო

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი (კუშჩაკი 80), ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ოში, ანდერსონი, გიგზი (სიმპსონი 80), რუნი, ტევესი (ნანი 73)

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** დიაკიტე

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**35 000 მაყურებელი**

**„მანჩესტერმა“** იმდენი გაუტანა „დინამოს“, რამდენიც აქამდე ორ მატჩში გაუშვეს კიეველებმა. უეინ რუნი ოთხშაბათს 22-ისა შესრულდა და დაბადების დღე გოლით გაილამაზა, კრიშტიანუ რონალდუმ კი საუცხოოდ ითამაშა და დუბლი შეასრულა. „მანჩესტერი“ შესანიშნავ ფორმაშია, რადგან ოთხ დღეში ორი მატჩი მოიგო. შაბათს ბირმინგემში „ასტონ ვილა“ დაჩაგრა, სამშაბათს კი კიევში — „დინამო“, რომელიც ამ სეზონში უკანუკან მიდის.

ალექს ფერგიუსონის გუნდი მეათე წუთზე დაწინაურდა — რაიან გიგზმა საჯარიმო შეასრულა და რიო ფერდინანდმა თავით გაიტანა. მერე სამსვლიანი კომბინაცია უეინ რუნიმ გოლით დაასრულა — ცარიელ კარში შეაგორა ბურთი, რასაც მასპინძელმა დიოგო რინკონმა უპასუხა — კუთხურიდან ჩაწოდებულს საპენალტესთან დაუხვდა და თავურით შეაგდო. ტაიმის მიწურულს რაიან გიგზმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააბზრიალა ბურთი და რონალდუმ სხვაობა ორამდე გაზარდა.


გახარებული მანჩესტერელები

AFP

შესვენების შემდეგ „დინამოს“ კარში პენალტი დანიშნეს — გავრანჩიჩმა ხელით ითამაშა, რონალდუმ კი თერთმეტი მეტრიდან გაიტანა. დინამოელმა ისმაელ ბანგურამ მარცხი ოდნავ შეალამაზა კოხტა გოლით.

„მანჩესტერმა“ ჯგუფში მესამე მატჩიც მოიგო და კიდევ სამი ქულა უნდა მერვედფინალის გასანაღდებლად.

„დინამო“ „ოლდ ტრაფორდს“ 7 ნოემბერს ესტუმრება.

„რუნიმ, გიგზმა, ტევესმა და რონალდუმ ასე თუ გააგრძელეს, კიდევ ბევრ მეტოქეს გავამწარებთ“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა.

**რომა 2:1 სპორტინგი**

1:0 ჟუანი (15), 1:1 ლიდსონი (18), 2:1 ვუჩინიჩი (70)

**რომა:** დონი, პანუჩი, მექსეში, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, კასეტი, ჟიული (ბრიგი 73), მანსინი (სისინიო 87), ტოტი (ვუჩინიჩი 35)

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**სპორტინგი:** ტიაგო, რონი, ტონელი, მიგელ ველოზო, აბელი, იზმაილოვი (ონორატო 81), ვუკჩევიჩი (პარედესი 71), მუტინიუ, რომანიოლი, დიალო (პუროვიჩი 77), ლიდსონი

**მწვრთნელი:** პაულუ ბენტუ

**გაფრთხილება:** კასეტი, ტონელი, ვუჩინიჩი, მუტინიუ, ჟუანი

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**60 000 მაყურებელი**

ტრავმირებული ფრანჩესკო ტოტის ნაცვლად შესულმა მირკო ვუჩინიჩმა „რომას“ სამი ქულა მოუტანა.

გახარებულმა ჩერნიგორიელმა ფორვარდმა მაისურა გაიხადა და ყვითელი ბარათიც მიიღო, ხოლო თანაგუნდელებმა უცნაურად მიულოცეს — თავში უტყაპუნეს და სცემეს.

„რომა“ მეთხუთმეტე წუთზე ჟუანმა დააწინაურა თავური დარტყმით, თუმც ლიდსონმა მალევე თავურით უპასუხა და გაათანაბრა. ამის მერე ლიდსონთან შეჯახებისას ტოტი დაშავდა და ვუჩინიჩმა შეცვალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში — სტუმართა კარში პენალტი დანიშნეს, მაგრამ მანსინის ტიაგომ აუღო.

ნამატჩევს დანიელე დე როსიმ თქვა: „მე და მანსინიმ გადავწყვიტეთ, რომ პენალტი მას უნდა დაერტყა, რადგან ჩემზე უკეთ ასრულებს, მაგრამ დღეს არ გაუმართლა“.

კვირას „მილანი“ „რომას“ მასპინძლობს და ტრავმის გამო შეიძლება, ვერ ითამაშოს.

მირკო ვუჩინიჩმა განაცხადა: „ვიმედოვნებ, რომ მე „მილანთან“ ძირითად შემადგენლობაში არ ვიქნები, ანუ ტოტი გამოკეთდება და ითამაშებს. ის ჩვენი გუნდის მთავარი ფეხბურთელია და მის გარეშე „რომას“ ძალიან გაუჭირდება. რაც შეეხება გოლს, ჩემთვისაც და „რომასთვისაც“ უძვირფასესი იყო. კლუბის დირექტორმა მიწინასწარმეტყველა, რომ ამ მატჩში გავიტანდი და გამოიცნო“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | 0 |

# ვენგერმა უოლკოტში ანრი დაინახა


თეო უოლკოტმა ორი გოლი გაიტანა

AFP

**H ჯგუფი**

**არსენალი 7:0 სლავია**

1:0 ფაბრეგასი (5), 2:0 გლები (24), 3:0 უოლკოტი (41), 4:0 გლები (51), 5:0 უოლკოტი (55), 6:0 ფაბრეგასი (58), 7:0 ბენდტნერი (89)

**არსენალი:** ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ებუე, ფაბრეგასი, ფლამინი (ჟილბერტო სილვა 63), გლები (როსიცკი 53), ადებაიორი (ბენდტნერი 63), უოლკოტი

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**სლავია:** ვანიაკი, პუბაჩეკი, პუდილი, სუჩი, კრაიჩიკი, ტავარეში (ბელაიდი 62), შვეცი, სენკვრიკი, ივანა (ვოლეშაკი 55), კალივოდა (იაბლონსკი 46), ვლჩეკი

**მწვრთნელი:** კარელ იაროლიმი

**გაფრთხილება:** ფლამინი, კლიში, გლები, ვოლეშაკი

**მსაჯი:** სტეფანო ფარინა (იტალია)

**59 000 მაყურებელი**

**„სამი** ქულა და კარგი ფეხბურთის თამაში გვსურდა, მაგრამ ამას არ მოველოდი“ — თქვა გახარებულმა არსენ ვენგერმა „სლავიას“ განადგურების შემდეგ.

ასეთი ანგარიშით „არსენალს“ 1993 წელს თასების მფლობელთა თასზე „სტანდარდიც“ დაუმარცხებია, ჩემპიონთა ლიგაში კი რეკორდი გაიმეორა, რომელიც აქამდე „იუვენტუსს“ ეკუთვნოდა. ტურინელებმა 2003 წელს „ოლიმპიაკოსს“ 7:0 მოუგეს.

18 წლის თეო უოლკოტმა პირველად ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მატჩში ძირითად შემადგენლობაში. მას აქამდე მხოლოდ ერთი გოლი გაეტანა „არსენალის“ მაისურით და „სლავიასთან“ დუბლი მიითვალა.

„მეორე გოლისას მისი მოძრაობა ანრისას წააგავდა. ფრანგივით მშვიდი იყო და არ აღელვებულა“ — შეაქო ვენგერმა უოლკოტი — ორი თვის წინ, ანრის გაყიდვის შემდეგ მაკრიტიკებდნენ, თუ არ გაძლიერდებით, ასეთი გუნდით ვერაფერს მოიგებთო. თუ ახლა იგივე კრიტიკოსები ჩვენ ჩემპიონთა მთავარ ფავორიტებად მოგვნათლავენ, არ გამიკვირდება“.

**სევილია 2:1 სტიაუა**

1:0 კანუტი (5), 2:0 ლუიშ ფაბიანო (17), 2:1 პეტრე (63)

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, ადრიანუ, ხესუს ნავასი, პოულსენი, კაპელი (მარტი 85), ს. კეიტა, კანუტი (რენატო 71), ლუიშ ფაბიანო

**მწვრთნელი:** ხუანდე რამოსი

**სტიაუა:** საპატა, გოიანი, რადა, ემეგარა, მარინი, პეტრე, ნიკოლიტა, კროიტორუ, სურდუ (ნიაგა 46), დიკა (ბადია 46), იაკობი (ზახარია 71)

**მწვრთნელი:** მასიმო პედრაცინი

**გაფრთხილება:** მარინი, კეიტა, ადრიანუ, კროიტორუ, ზახარია

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**40 000 მაყურებელი**

37 საშინაო ევრომატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხებულმა „სევილიამ“ „სტიაუას“ მალე გაუტანა ორი გოლი და ბოლოსლა ანერვიულდა, როცა ერთი საპასუხო მიიღო.

მასპინძლები ფრედერიკ კანუტმა დააწინაურა — ახლოდან თავური დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო თორმეტი წუთის შემდეგ ლუიშ ფაბიანომ შორიდან დასცხო ბურთს და მეორე შეაგდო.

„სტიაუამ“ წააგო იმ სტადიონზე, სადაც 1986 წელს „ბარსელონას“ ჩემპიონთა თასის ფინალში სძლია.

ბუქარესტელებს ლიგაში სტუმრად კარგი თამაში არ გამოსდით და ამიტომაცაა, რომ ბოლო 20 გასვლითი მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგეს.

„საუცხოო პირველი ტაიმის შემდეგ, ბიჭებმა საქმე გაკეთებულად ჩათვალეს, მოდუნდნენ და ჩვენს კარში გოლიც ამის გამო გავიდა“ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა.

„დიდებული მატჩი იყო — განაცხადა ლუიშ ფაბიანომ — მეორე ტაიმში მეტოქემ ტაქტიკა შეცვალა, ჩვენ კი ყველანაირად ვცდილობდით, მათთვის სივრცე არ მიგვეცა. ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ და მერვედფინალისკენაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით“.

**— რას იტყვი „ენერჯი-ინვესტის“ მესამე ლეგიონერ ანვარ ფერგიუსონზე?**

— ის ნამდვილად არაა ცუდი მოთამაშე. მან ეს დაამტკიცა ყველგან, სადაც კი ითამაშა. უბრალოდ, ჯერ ვერ გაიხსნა. გუნდთან შეწყობა და შეთამაშება უნდა.

**— მოედნის გარეთ რით ხარ ხოლმე დაკავებული?**

— მიყვარს კომპიუტერზე თამაში, ტელეფონით მეგობრებთან ლაპარაკი, კინოში სიარული. ჩემი საყვარელი მსახიობი ალ პაჩინოა. ვუსმენ ასევე ჰიპ-ჰოპს.

**— პირადად თუ იცნობ ან გითამაშია რომელიმე ცნობილ კალათბურთელთან?**

— 2002 წელს სტუდენტურ ლიგაში დუეინ ვეიდის წინააღმდეგ ვითამაშე ორჯერ. ვეიდი მარკეტის უნივერსიტეტში იყო, მე — აღმოსავლეთ კაროლინაში. ორივე გუნდმა საშინაო მატჩი მოიგო, დუეინ ვეიდთან თამაში კი არასდროს დამავიწყდება. ის პირველი სეზონი იყო ჩემთვის სტუდენტურ ლიგაში, ვეიდისთვის კი — ბოლო. მომდევნო წელს ის „მაიამიმ“ დრაფტზე აიყვანა.

**— შენ არ უმიზნებ ნბა-ს?**

— ნბა-ში თამაში ჩემი ოცნებაა და მჯერა, რომ მიზანს მივაღწევ. მომდევნო წელს კვლავ ვეცდები, თავისუფალი აგენტის სტატუსით რომელიმე გუნდისგან კონტრაქტი დავიმსახურო.

**ირაკლი პერტაია**

ჭიდაობა

# ლუკა კურტანიძე პეკინამდე გერმანიის ჩემპიონობას ბეგმავს

**საქართველოს თავისუფალ სტილის მოჭიდავეთა ნაკრები სომხეთში გაემგზავრა. სარგის სარგსიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ქართული გუნდი გაფართოებული შემადგენლობით იჭიდავებს. ხალიჩაზე ყველა უძლიერესი ქართველი გავა, ლუკა კურტანიძის გარდა. მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი განაცხადში საკუთარი სურვილით არ ჩაეწერა. კურტანიძემ ახლახან გერმანიის საკლუბო ჩემპიონატში იჭიდავა და თბილისში რამდენიმე დღის დაბრუნებულია. ინტერვიუს ძირითადი ნაწილიც სწორედ გერმანულ ტურნირს ეხება**



— შტუტგარტთან ახლოს პატარა ქალაქი ალენია და მისი საჭიდაო კლუბის ღირსებას ვიცავ, აგერ უკვე ორი წელია. კლუბსაც „ალენი“ ჰქვია და მთელ გერმანიაში ერთ-ერთი უძლიერესია.

**— საკლუბო ჩემპიონატში წარმატებულად გამოდის?**

— ქვეყნის ათგზის ჩემპიონია. წლეულსაც ერთ-ერთი ფავორიტთაგანია და იმედია, მეთერთმეტე ტიტულს ერთად მოვიგებთ.

**— საკლუბო ჩემპიონატი რამდენ ხანს გრძელდება?**

— სექტემბერში დაიწყო და 2008 წლის დასაწყისამდე გასტანს. ჯერ მხოლოდ ოთხი ტური ჩატარდა და ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე კიდევ სამია დარჩენილი. სულ ტურნირში თექვსმეტი კლუბი მონაწილეობს. ისინი დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში თანაბრად არიან განაწილებულნი. ჯგუფური ეტაპის შეხვედრების დასრულების შემდეგ პლეი ოფში ყველა გადის. მეოთხედფინალში დასავლეთის პირველი აღმოსავლეთის მერვეს შეხვდება, მეორე — მეშვიდეს და ასე შემდეგ.

**— თავად რამდენი შეხვედრა ჩაატარე?**

— გერმანიაში 22 დღე დავყავი და დროის ამ მონაკვეთში „ალენმა“ ოთხი ბრძოლა ჩაატარა. მე სამში ვმონაწილეობდი, ერთში კი დავისვენე. სამჯერვე მოვიგე ლატვიელ, ბერძენ და უნგრელ მოწინააღმდეგეებთან. კლუბმაც სამ შეხვედრაში გაიმარჯვა, მეოთხე ფრედ დასრულდა და ლიდერთა შორისაა.

**— ამ ზაფხულს ინტერვიუში გვითხარი, რომ გერმანული კლუბისგან ახალი შემოთავაზება გქონდა, მაგრამ დაკონკრეტება მომავლისთვის გადადე. ახლა ხომ არ გაგვიმხელ?**

— სიამოვნებით. „ალენის“ მწვრთნელ-კონსულტანტობა შემომთავაზეს, ოღონდ პარალელურად მოჭიდავეც უნდა ვიყო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და უკვე ახალ ამპლუაში ძალებიც მოვსინჯე.

**— ახლა ჩემპიონატში შესვენებაა?**

— ასეა, მაგრამ აქედანვე შევთანხმდით, რომ ჯგუფური შეხვედრების უახლოეს ტურებში „ალენი“ უჩემოდ გამოვა. სავარაუდოდ, წლის ბოლოს ჯგუფის ბოლო შეხვედრაში შევუერთდები. შესაძლოა, სულაც მეოთხედფინალიდან დავიწყო. მერე კი ნაახალწლევს ფინალი იქნება და ღმერთმა ქნას, კიდევ მომიწიოს გერმანიაში ჩასვლა.

**— კლუბში ცნობილი სახეები თუ გყავთ?**

— როგორც მითხრეს, ბერძნულ-რომაულში მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონი შეუმატებიათ, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, ვინ არიან ისინი, რადგან კლასიკოსების ტურნირი ჩვენს შემდეგ უნდა დაწყებულიყო, მე კი თბილისში წამოვედი. თავისუფლებში ჩემს გვერდითაა ემზარ ბედინეიშვილი, რომელიც სანაკრებო დონეზე საბერძნეთის სახელით გამოდის.

**— გერმანიაში როგორ მოხვდი?**

— 1996 წელს ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი, საინტერესო წინადადება შემომთავაზეს — „გოლდბახის“ სახელით უნდა მეჭიდავა. იმ პერიოდში თბილისში ნორმალურად ვარჯიში თითქმის შეუძლებელი იყო, გერმანიაში კი ამ მხრივ სამოთხეში ვიყავი. თუმცა აქვე გავიხსენებ, რომ ის პერიოდი ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, რადგან საქართველო სიგიჟემდე მენატრებოდა. „გოლდბახის“ სახელით ორი წელი ვიჭიდავე. მერე სხვა გერმანულ კლუბში გადავედი და, თუ 2000-2002 წლებს არ ჩავთვლით, სულ ამ ქვეყნის კლუბების ღირსებას ვიცავ.

**— ის ორი წელი ირანში გაატარე. რატომ?**

— 2000 წლის ოლიმპიადის შემდეგ ჩემს მომგებ ალი რეზა ჰეიდარს გავეკიდე. გერმანული კონტრაქტი შეგნებულად დავარღვიე და ირანულ კლუბშიც მხოლოდ იმ ნატვრით გადავედი, რომ სადმე ჰეიდარს გადავყროდი და რევანში ამეღო. სამწუხაროდ, ის ორი წელი ისე გავიდა, ოცნება ვერ ავიხდინე. ალი რეზამ ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ჩემთან საკლუბო დონეზე დაჭიდებას არ აპირებდა. სამწუხაროდ, კარიერა ისე დაასრულა, პირისპირ აღარ დავმდგარვართ.

**— ისევ „ალენს“ მივუბრუნდეთ. რამდენხნიანი კონტრაქტი გაქვს?**

— კონტრაქტი საერთოდ არ გამიფორმებია. ამ კლუბის პრეზიდენტი ჩემი მეგობარია და ერთმანეთს სიტყვაზე ვენდობით. ამ მხრივ პრობლემა არ მექნება.

**— საქართველოს ნაკრები სომხეთში, საერთაშორისო ტურნირზე გაფართოებული შემადგენლობით და ლამის ყველა უძლიერესი მოჭიდავით მიემგზავრება, შენ კი განაცხადში არ ხარ...**

— გადაწყვეტილება თავად მივიღე. ბოლო პერიოდში საკმარისად დავიტვირთე და ჯობს, ახლა ცოტა დავისვენო.

**— წლევანდელი სეზონიც უკვე დასრულდა?**

— თუ ისევ გერმანულ საკლუბო ჩემპიონატს არ ჩავთვლით, ასეა.

**— აქტიური სპორტიდან წასვლა ამ ზაფხულს გადაიფიქრე. ალბათ, მიზანი ოლიმპიური თამაშებია...**

— რა თქმა უნდა. იმედია, მიზანს მივაღწევ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# დროებითი მთავრობა

## უპრეზიდენტო სეოკი უვიცეპრეზიდენტოდაც რჩება



ყოფილი და დროებითი პრეზიდენტები: ნონა გაფრინდაშვილი და გოგი თოფაძე



ლერი ხაბელოვის (მარცხნივ) არგუმენტებმა არ გაჭრა

**მას შემდეგ,** რაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის პოსტიდან გადაყენების მომხრეები სასტუმრო „ვარაზში“ შეიკრიბნენ და ამ ორგანიზაციის ალმასკომის პროცედურულ საკითხებზე იმსჯელეს, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთგაგება და ოლიმპიური სიმშვიდე დაისადგურებდა, მაგრამ ქარტეხილები თურმე წინ გველოდა. გუშინ საქართველოს ეოკ-ში გამართულმა ალმასკომის სხდომამ ვნებათაღელვასა და სკანდალურ განცხადებებში ჩაიარა.

ალმასკომის სხდომას 39 წევრიდან საპატიო მიზეზით ოთხი არ ესწრებოდა და როცა ეს გაირკვა, მუშაობაც დაიწყო.

ეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა დამსწრეთ შეახსენა ის დრო, როცა ჩვენი სპორტსმენები ფინანსური გაჭირვების გამო შეჯიბრებებზეც კი ვერ დადიოდნენ, მაგრამ ამ კრიზისულ ვითარებაში მათ მხსნელად ბადრი პატარკაციშვილი მოევლინათ.

ლერი ხაბელოვმა სხდომას გააცნო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ურთიერთობის დირექტორის, პერე მიროს მიერ ლოზანადან გამოგზავნილი წერილი, რომლის ავტორიც მადლიერებას გამოხატავდა ბადრი პატარკაციშვილის მიმართ, მაგრამ, რაკი ამ ბარათს და, მასთან ერთად ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტ პატრიკ ჰიკისა და გენერალური მდივნის რაფაელე პაგნოცის გამოზავნილ წერილს აქვე გთავაზობთ, მათზე აღარ შევჩერდებით.

ლერი ხაბელოვის მიერ ლოზანიდან გამოგზავნილი წერილის კითხვის ჩამთავრებას მოჰყვა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილის რეპლიკა, ლოზანაში აქვთ სხვა ინფორმაციაც, რომ ჩვენს სპორტულ ფედერაციებს ბადრი პატარკაციშვილთან მუშაობა არ სურთო. ამაზე რომან რურუამ რიტორიკულად იკითხა, კი მაგრამ, ბადრი პატარკაციშვილი გადადგა თუ გადააყენესო, მერე მოითხოვა, სხდომას იურისტიც უნდა დაესწროს, რათა იურიდიული და სამართლებრივი დარღვევები თავიდან ავიცილოთო.

სეოკ-ის იურიდიული სამსახურის უფროს იმედა ხუციშვილის გამოჩენამდე სხდომას თავდაპირველად ტელეკომპანია „იმედის“, „რუსთავი 2-ის“, გაზეთ „ლელოსა“ და „სარბიელის“ წარმომადგენლები ვესწრებოდით, შემდეგ კი საქართველოს ეოკ-ის ხელმძღვანელთა თხოვნით, უხმეს დანარჩენ ჩვენს კოლეგებსაც, რომლებიც ძირითადად სპორტულ კი არა, პოლიტიკის სფეროში მოფუსფუსე ხალხი იყო. ამითაც ნათელი გახდა, რომ სხდომა სპორტულ ჩარჩოებს სცილდებოდა და კოლეგებს გუმანმა მართლაც არ უღალატათ. ლერი ხაბელოვმა განაცხადა, როგორც მე ისინი (გულისხმობდა ბადრი პატარკაციშვილის გადაყენების ინიციატორებს) მომმართავენ ტელეეკრანის საშუალებით, მეც ტელეკამერების თანდასწრებით მსურს განცხადების გაკეთებაო და იკითხა, რატომ ვარ მე ხელისუფლებისთვის მიუღებელი, რატომ მდებენ ბრალს ღალატში, რატომ მაბრალებენ, თითქოს მე ვიღაცის ნება-სურვილს ვასრულებო? მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთგზის ტრიუმფატორმა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა საკუთარ კითხვებს თავადვე უპასუხა, ალბათ იმიტომ, რომ უმცირესობის წარმომადგენელი ვარ, ეროვნებით ოსიო.

ამან დეტონატორის როლი შეასრულა და გიორგი გაბაშვილმა აღშფოთებულმა უპასუხა, თქვენ პოლიტიკურად ანგაჟირებული ხართ, სხვათა დაკვეთას ასრულებთ, რაზეც თქვენივე განცხადებაც მეტყველებს. მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, ეთნიკური შუღლის გაღვივების ნებას არ მოგცემთო და მისთანანი. გიორგი გაბაშვილმა ლერი ხაბელოვს ფულის გათეთრებაც უხსენა და აქ კი უკვე ვიღაცამ სხდომის დახურვა ითხოვა. ბოლოს ჟურნალისტებმა დარბაზი დავტოვეთ, „სამაგიეროდ“, სხდომაზე სეოკ-ის იურიდიული სამსახურის უფროსი შევიდა, თუმც სულ მალე ისიც უკან მოგვაყოლეს.

— რაკი სხდომაზე თავადვე მიხმეს, მინდოდა, იქ დამსწრე საზოგადოებისთვის ზოგი რამ განმემარტა. მაგალითად, სეოკ-ის ძველი წესდების მე-9 პარაგრაფში მართლაც ეწერა, რომ „ამ ორგანიზაციის ალმასკომის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაევალება ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტს, რომელსაც“... მაგრამ დღეს მოქმედი წესდების მიხედვით „პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაევალება პირველ ვიცე-პრეზიდენტს“ — გვითხრა იმედო ხუციშვილმა და იქვე დასძინა, თუ ალმასკომი სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, წესდების უხეში დარღვევა იქნებაო.

მართლაც, ალმასკომმა „სხვაგვარად“ განსაჯა. მართალია, სეოკ-ის სესიამდე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულებაზე საკუთარი განცხადების საწინააღმდეგოდ ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე კენჭს იყრიდა და მასთან ერთად ამ თანამდებობის მოსურნე ლერი ხაბელოვიც, მაგრამ საბოლოოდ მხარი თოფაძეს დაუჭირას.

სხდომის შემდეგ, როგორც კულისებს მიღმა საუბრიდან შევიტყვეთ, კენჭისყრა ღია იყო და თავდაპირველად გოგი თაფაძემ თოთხმეტი ხმა მოაგროვა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. შემდეგ თოფაძისა და ხაბელოვის კანდიდატურებს ისევ ღიად, ერთად უყარეს კენჭი. აქ უკვე 19:10 თოფაძემ გაიმარჯვა.

საინტერესოა, რომ გოგი თოფაძემ კენჭისყრისას ლერი ხაბელოვს მისცა ხმა. მის გარდა ლერი ხაბელოვს მხარი დაუჭირეს (ანბანის მიხედვით): ჯანო ბაგრატიონმა, ბიძინა ბარათაშვილმა, ნონა გაფრინდაშვილმა, ემზარ ზენაიშვილმა, თამაზ იმნაიშვილმა, ლუკა კურტანიძემ, რომან რურუამ, რობერტ შავლაყაძემ და გოგი ჯაოშვილმა.

— ალმასკომის წევრებს არ შეუძლიათ, შეებრძოლონ იმას, რაც დღეს ქვეყანაში ხდება — გვეუბნება ლერი ხაბელოვი — მე დავინახე, რომ ალმასკომის წევრები არ არიან თავისუფალნი. მათ ალბათ იმიტომ სურთ სეოკ-ის წესდების შეცვლა, რომ თავიანთი მიზნები განახორციელონ. ალმასკომის წევრები ერთმანეთს დაბნეულები უყურებენ და არ იციან, რა ქნან. ამ უსამართლობას ვერ ავიტან და სეოკ-ის სესიაზე თანამდებობიდან გადავდგები, რადგან ყველაფერი უაზრობაა. მე არც პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის მისიის ხელმძღვანელად დავრჩები...

სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნები გაისად, პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ უნდა ჩატარდეს, ამ მოვალეობის შესრულებას კი გოგი თოფაძე წლეულს დეკემბერში გასამართ სესიამდე დათანხმდა. ასე რომ, ამის მერე, ეტყობა, სეოკ-ი უმეთაუროდ დარჩენის საშიშროების წინაშე დგება.

„ასეა თუ ისე, ჯერჯერობით სეოკ-ს გოგი თოფაძე უხელმძღვანელებს, სახელმწიფომ კი ჯიბეზე უნდა გაიკრას ხელი ისევე, როგორც ამას ბადრი პატარკაციშვილი აკეთებდა. შეგახსენებთ, რომ ბადრი პატარკაციშვილმა 2002 წლის 1 ივლისიდან წლევანდელ ოქტომბრამდე სპორტული ფედერაციებისთვის 5 მილიონ ლარზე მეტი გაიღო“ — გვეუბნება ნონა გაფრინდაშვილი.

სპორტსმენთა, მწვრთნელთა ვეტერან ოლიმპიელთა, ჟურნალისტთა, სპორტული მედიცინის მუშაკების ყოველთვიურმა სტიპენდიებმა და მატერიალურმა დახმარებებმა 3,5 მილიონამდე შეადგინა; 2,5 მილიონს გადააჭარბა სხვა ოლიმპიური პროგრამებისთვის გაწეულმა ხარჯებმა, კიდევ სხვა პროგრამებმა მილიონ-ნახევარზე მეტი მოითხოვა. მიმდინარე ოლიმპიური ციკლის დასრულებამდე დამატებით გათვალისწინებული იყო 2,5 მილიონი ლარის ინვესტიცია და ამ თანხაში არ იგულისხმება პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთათვის განკუთვნილი საპრიზო ფონდი. ამბობენ, ამ ხარჯებს ახლა სახელმწიფო გაიღებსო. ვნახოთ...

**ავთანდილ ჭყვიშელი**

---

**ევროპის ოლიმპიური კომიტეტები**
**რომი, 19 ოქტომბერი 2007 წ.**
**ბატონ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილს**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს**

ბატონ პატარკაციშვილს,

დიდ სინანულს გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თქვენ გადაწყვეტილება მიიღეთ დატოვოთ საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელის თანამდებობა.

შექმნილი ვითარების მიუხედავად, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტები დიდად აფასებს თქვენს დამსახურებას სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის იდეალების განმტკიცებაში და მხარს უჭერს ამ საკითხზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

*საუკეთესო სურვილებით,*
*პატრიკ ჰიკი, პრეზიდენტი*
*რაფაელე პაგნოცი, გენერალური მდივანი*

---

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ბატონ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილს,**
**გენერალურ მდივანს ბატონ ემზარ ზენაიშვილს,**
**ალმასკომის ყველა წევრს**
**ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, №200/jpy**
**ლოზანა 2007 წლის 22 ოქტომბერი**

პატივცემულო პრეზიდენტო,
პატივცემულო გენერალურო მდივანო,
პატივცემულო ალმასკომის წევრებო,

მადლობას მოგახსენებთ და ვადასტურებთ 2007 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული სოკ-ის პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილი ბატონი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის კორესპონდენციის მიღებას.

ჩვენ გავეცანით წერილის შინაარსს, კერძოდ ბატონი ა. პატარკაციშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გამოვხატავთ ჩვენს გულწრფელ მადლიერებას ბატონი ა. პატარკაციშვილის მიმართ მთელი იმ ძალისხმევისა და საქმიანობებისთვის, რაც პრეზიდენტობის პოსტზე ყოფნის პერიოდში განახორციელა საქართველოში ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის საკეთილდღეოდ და მადლობას მოვახსენებთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან მისი უწყვეტი თანამშრომლობისთვის.

გთხოვთ, სასწრაფოდ მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობისა და განვითარებული მოვლენების შესახებ და ასევე იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებების გატარებას აპირებს შემდგომ ეტაპზე თქვენი ეოკ-ი, კერძოდ ინსტიტუციონალური და იურიდიული თვალსაზრისით ოლიმპიური ქარტიისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების შესაბამისად.

წინასწარ გიხდით მადლობას გაგებისა და თანამშრომლობისთვის. თქვენს განკარგულებაში გვიგულეთ,

*პატივისცემით,*
*პერე მირო, სოკ-ის და ეოკ-ებთან ურთიერთობების დირექტორი*
*ასლები ეგზავნება:*
*სოკ-ის პრეზიდენტს ჟაკ როგს*
*სოკ-ის წევრს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს პატრიკ ჰიკს, სოკ-ის პრეზიდენტის კაბინეტის ხელმძღვანელს კრისტოფ დე კეპერს.*

## „ჩელენჯ ტროფი“, 25-27 ოქტომბერი. თბილისი. სპორტის სასახლე




მამუკა მჟავანაძე, დავით ნამგალაური, თამაზ თევზაძე და ჯემალ ცერცვაძე

# ჩელენჯ ტროფი: ჯილდო, რომელმაც მაღლა უნდა აგვწიოს

**დღეს** სპორტის სასახლეში „ჩელენჯტროფის“ ტურნირის გათამაშება დაიწყება. ჩვენი მეტოქეები მოლდოვა, აზერბაიჯანი და სომხეთი არიან. ჯგუფში საუკეთესო „ჩელენჯტროფის“ ფინალს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს ითამაშებს. სავარაუდო მტეოქე ფარერების, შოტლანდიის, ირლანდიის, ინგლისის და მალტის ნაკრებებს შორის გამარჯვებული იქნება.

ეს ტურნირი 1999 წლიდან ტარდება და მისი უშუალო ორგანიზატორი ევროპის ხელბურთის ფედერაციაა. წელს პირველადაა, რომ ტურნირში 10 ნაკრები მონაწილეობს, ამიტომ შედგა ორი ჯგუფი.

გუშინ კი ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სპორტის დეპარტამენტში წინასატურნირო პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ნაკრების გეგმებსა და მასპინძლის სტატუსის გამართლების აუცილებლობაზე იყო საუბარი.

მედიის წინაშე წარდგნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე, ვიცე-პრეზიდენტი ჯემალ ცერცვაძე, ნაკრების თავკაცი მამუკა მჟავანაძე და ხელბურთელები: შოთა თევზაძე, რევაზ ჭანტურია, რატი მსხვილიძე.

***თამაზ თევზაძე:*** ტურნირი ევროპის ფედერაციის ეგიდით ტარდება. დასამალი არ არის, რომ აქ მონაწილეობა მეორე ეშელონის გუნდებისთვისაა განსაზღვრული. მისი მასპინძლობა ჩვენთვის დიდი პასუხისმგებლობაა. გვინდა, ყველაფერი კარგად ჩავატაროთ. გვეყოლება ცნობილი სტუმარი, ევროპის ფდერაციის ვიცე-პრეზიდენტი ჟან ბრიოლი.

ამის მერე სიტყვა **დავით ნამგალაურმა** აიღო და სახელმწიფოს მიერ ხელბურთის დახმარებაზე ისაუბრა:

— ჩვენი პრიორიტეტი ყოველთვის იყო სათამაშო სახეობების მხარდაჭერა. დეპარტამენტი ტურნირის ორგანიზაციაში მაქსიმალურად მხარში დაუდგა ფედერაციას. გვინდა, ის პოტენციალი, რაც ამ სახეობაში გვაქვს, ბოლომდე გამოვიყენოთ. დახმარება მარტო ნაკრებს არ ექნება. მალე სხვადასხვა რეგიონში 6 არენა დაიწყებს ფუნქციონირებას. დაიგება უმაღლესი ხარისხის მოედნები.

რაც შეეხება კონკრეტულად თამაშებს, მჯერა, ნაკრები წარმატებით გამოვა. ეს ჩვენთვისაც საჭიროა, რათა თამამად გავაგრძელოთ ხელბურთის დახმარება. მინდა, ბიჭებმა შეგვახსენონ, რომ ხელბურთის თამაში შეგვიძლია.

ორიოდე სიტყვა ვიცე-პრეზიდენტმა და ქართულმა ხელბურთის ლეგენდამ, ***ჯემალ ცერცვაძემაც*** თქვა — ხელბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს ვთხოვ, მობრძანდნენ და ნახონ ნამდვილი ხელბურთი, რომელიც ერთ დროს მსოფლიოში უმაღლეს დონეზე იდგა.

ამის მერე საუბრის საშუალება ***მამუკა მჟავანაძეს*** მიეცა, ვინც გუნდის მომზადებით კმაყოფილი ჩანდა.

— სასიამოვნოა, რომ სრული შემადგენლობა შევკრიბეთ. შეკრებამ ჩინებულ ატმოსფეროში ჩაიარა. ბიჭები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად არიან იმისთვის, რომ საკუთარ კედლებში ღირსეულად გამოვიდნენ.

ბოლოს მცირე კომენტარი მოთამაშეებმაც გააკეთეს და იმედი გამოთქვეს, რომ ქომაგთა გახარებას შეძლებენ. მათი თქმით, გუნდი ყველაფერს გაიღებს წარმატების მისაღწევად.

**ლევან ზაისურაძე**

### ტურნირის განრიგი

| | |
|---|---|
| **25 ოქტომბერი** | |
| მოლდოვა — სომხეთი | 16:30 |
| საქართველო — აზერბაიჯანი | 18:30 |
| **26 ოქტომბერი** | |
| აზერბაიჯანი — მოლდოვა | 16:30 |
| საქართველო — სომხეთი | 18:30 |
| **27 ოქტომბერი** | |
| აზერბაიჯანი — სომხეთი | 12:00 |
| საქართველო — მოლდოვა | 14:00 |

### საქართველოს ნაკრები

| | თ | გ |
|---|---|---|
| შოთა თევზაძე (სტუ-თელავი) | 42 | - |
| გაგა სამყურაშვილი (სტუ-თელავი) | 17 | |
| კორნელი ანდრიაძე (თბილისი) | 7 | |
| რევაზ ჭანტურია (მეტალურგი; მაკედონია) | 37 | 67 |
| რატი მსხვილიძე (სტიარნანი, ისლანდია) | 17 | 87 |
| გიორგი ქობელაშვილი კაპ. (სტუ-თელავი) | 34 | 61 |
| ომარ ყიფიანი (სტუ-თელავი) | 37 | 16 |
| ვლადიმერ რუსია (დინამო, რუმინეთი) | 23 | 121 |
| მამია კობახიძე (სტუ-თელავი) | 24 | 54 |
| აკაკი ტალახაძე (სტუ-თელავი) | 18 | 61 |
| გიორგი ნივნიაძე (თბილისი) | 14 | 58 |
| სერგო დათუკიშვილი (ლიუბეკი, გერმანია) | 73 | 134 |
| შოთა გრიშიკაშვილი (ორმანი, თურქეთი) | 7 | 14 |
| ტიტე კალანდაძე (თბილისი) | 117 | 304 |
| ამირან ყიფიანი (სტუ-თელავი) | 15 | 17 |
| ანდრო ანდრიაშვილი (არანგა, ესპანეთი) | 24 | 36 |
| გიორგი კვერნაძე (აკადემია, საბერძნეთი) | 6 | 14 |

*მწვრთნელები: მამუკა მჟავანაძე, იმედო ფხაკაძე, ლევან გელაშვილი*

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.



# როჯერის სხვა მიზანი

**მორიგი** საჩოგბურთო სეზონის დასასრულამდე სულ არაფერი, დაახლოებით სამიოდ კვირა და თითზე ჩამოსათვლელი ტურნირებილა დარჩა — მიმდინარე შვიდდღეულში კაცთა სამი შეჯიბრია, რომლებიც ბაზელში, ლიონსა და სანკტ პეტერბურგში იმართება. მომდევნი კვირას მასტერსის სერიის ბოლო, პარიზის ტურნირი იქნება, რასაც წლის შემაჯამებელი, მასტერის თასი მოჰყვება და სეზონიც გასრულდება.

მთავარ ინტრიგას ისევ მასტერსის თასზე მომხვედრთა ვინაობის გარკვევა წარმოადგენს — მოგეხსენებათ, შანხაიში წასვლა ხუთ მჩოგნეს აქვს გარანტირებული. დანარჩენი სამი ადგილის დაკავების შანსს 20 ჩოგბურთელი ინარჩუნებს, თუმცა ეს წმინდად მათემატიკური გათვლებაა და ჩინეთში წასვლის რეალური შესაძლებლობა ხუთ-ექვს მეჩოგნესღა თუ აქვს. თან, შეიძლება ითქვას, მეექვსე ადგილის ბედი გარკვეულია, რადგანაც დავიდ ფერერი 96 ქულით უსწრებს მერვე ადგილზე მყოფ ტომი ჰაასს და საეჭვოა, ესპანელს ვინმე დაეწიოს. ისე, პირინეელს უკვე ამ კვირაში შეეძლო შანხაიში ადგილის საბოლოოდ განაღდება, მაგრამ ბაზელში ნამეტანი უნიათოდ გაისარჯა და აგუსტინ კალერისთან დამარცხდა.

რახან ბაზელის ამბებით დავიწყეთ, როჯერ ფედერერზეც ვთქვათ, რომელსაც განსხვავებული მიზნები ამოძრავებს — დიდი ალპელი ზედიზედ მეოთხეჯერ ესწრაფვის წლის რეიტინგის სათავეში დასრულებას და ამისთვის მშობლიურ კორტებზე გამარჯვება ესაჭიროება. „მხიარული როჯერი“ ბაზელში ტრიუმფის შემთხვევაში მეორე ადგილზე მყოფი რაფაელ ნადალისთვის მიუღწეველი შეიქმნება. ფედერერმა ამისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა, როცა პირველ წრეში მიხაელ ბერერს გაუსწორდა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ შვეიცარიელს მაგრად გაუჭირდა და სეტიც წააგო, მაგრამ მესამე პარტიაში ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა და მეორე წრის საგზური მაინც გაინაღდა.

შვეიცარიაში მომხდარიდან ასევე გამოვყოთ ფერნანდო გონსალესის გამარჯვება. ჩილელი შანხაიში მოხვედრის ერთ-ერთი კანდიდატია და ბოლო კვირებია , ისეთი ფორმა აკრიფა, რომ წესით მიზანს უნდა უწიოს. თანაც სამხრეთამერიკელი ბაზელში ყოველთვის კარგად ჩოგნაობს — აქ ოთხჯერ უთამაშია და სამჯერ ფინალში იყო. მაშინაც, 2004 წელს, როცა ნაადრევად გავარდა, პირველ წრეში ფრანგ ჟერომ ენელთან წააგო. ჰოდა, გონსალესი ახლაც ამ გალს ხვდებოდა, მაგრამ სამი წლის წინანდელი შეცდომები აღარ გაიმეორა და ენელი კუდამოძუებული გაუშვა.

ლიონური ამბებიდან კი ტომი რობრედოს წაგებაზე ვთქვათ — ამ მარცხით ესპანელმა ჩინეთში მოხვედრას ალბათ საბოლოოდ გადაუსვა ხაზი.

სანკტ პეტერბურგში კი ენდი მიურეის შთამბეჭდავი გამოსვლა ვნახეთ, რომელმაც 52 წუთში გადაურბინა აყლაყუდა ბელარუს მაქს მირნის. კარგად დაიწყო შარშანდელმა ჩემპიონმა მარიო ანჩიჩმაც — ხორვატი ნიკოლას ლაპენტის გაუმკლავდა.

წლის შემაჯამებელი ტურნირისთვის ემზადებიან ქალებიც, რომლებმაც მადრიდში წამსვლელი საუკეთესო რვიდან ექვსი მეჩოგნის ვინაობა უკვე გაარკვიეს. ბოლო ილბლიანი ანა ჩაკვეტაძეა, რომელიც კარიერაში პირველად ითამაშებს ამდაგვარ ტურნირზე. დარჩენილი ორი ადგილისთვის კი ხუთი ქალი აცხადებს პრეტენზიას — მეშვიდე და მერვე პოზიციებზე ჯერჯერობით ვინუს უილიამსი და მარია შარაპოვა არიან და მათ კვალში დანიელა ჰანტუხოვა, მარიონ ბარტოლი და ელენა დემენტიევა უდგანან.

ამ კვირაში ქალები მხოლოდ ავსტრიულ ლინცში იჩოგნავებენ და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ უილიამსიცა და შარაპოვაც უქმობენ, რამდენიმე დღეში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს და საუკეთესო რვაში ამერიკელმა ან რუსმა ადგილები დაკარგონ კიდეც. თუმცა ეს კვირის ბოლოს გაირკვევა.

**ბაჩა ლომჯამილი**

# ყავლაშვილი და მაღლები

**სტამბოლში,** სადაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, კვალიფიკაციაში მონაწილე ხუთი ქართველიდან ძირითად ბადეს მხოლოდ ერთმა, თინა ყავლაშვილმა უწია, რომელსაც საამისოდ სოფო შაფათავას დამარცხება (6:1 3:6 6:1) დასჭირდა.

ყავლაშვილმა ძირითადი შეჯიბრიც წარმატებით დაიწყო და პირველ წრეში 3:6 6:4 6:3 18 წლის გერმანელ საბინ ლისიცკის, ვისაც WTA-ს რეიტინგში ქართველზე გაცილებით მაღალი, 236-ე პოზიცია უჭირავს. მეორე წრეში თინა მე-8 ნომრად განთესილ რუმინელ მონიკა ნიკულესკუს ხვდება, ვინც კლასიფიკაციაში კიდევ უფრო მაღლა, 208-ე საფეხურზე იმყოფება. თუ ამ რუმინელსაც მოუგებს, მერე ჩვენებური უკრაინელ იულია ბეიგელზიმერსა და ბრიტანელ ჯორჯია სტუპს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.



თინა ყავლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გივი მრელაშვილი და მისი სპი

# ქართული რაგბის ორმაგი იუბილე



ზურაბ ხარშილაძე

**დღეს** ქართულ რაგბის ორი იუბილარი ჰყავს: ჩვენი რაგბის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საქართველოში ოვალური ბურთაობის პატრიარქად წოდებული გივი მრელაშვილი 70 წლის გახდა, ხოლო საბჭოური რაგბის ვარსკვლავი ზურაბ ხარშილაძე 60 წლის შესრულდა.

გივი მრელაშვილმა 60-იანი წლების დასაწყისში, მაშინ კაპიტალისტურ თამაშად მონათლული რაგბი ჩვენში დანერგა და მაშინდელი სპი-ის ბაზაზე პირველი ქართული სარაგბო გუნდი დააარსა. იქიდან მოყოლებული, აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, გივი მრელაშვილი რაგბიშია. განუზომელია მისი წვლილი ქართული რაგბის განვითარების საქმეში.

ზურაბ ხარშილაძემ თავისი კარიერა თბილისის „ლოკომოტივში" შეალია. 16 წელი რკინიგზელებს ურთგულა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალის და თასს დაეუფლა. ხარშილაძემ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ოთხი მატჩი ითამაშა.

საქართველოს რაგბის კავშირი იუბილარებს 28 ოქტომბერს ღირსეულ შეხვედრას მოუწყობს.



# პირველი წერტილი
## იზორიას ჩიკაგო იტალიელმა დაასრულა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან ღვამიჩავამ (მარჯვნივ) ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო

**გუშინ** ჩიკაგოში მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაჩაღდა. სეზონის მთავარი ტურნირი თორმეტ დღეს გასტანს. თერთმეტი წონითი კატეგორიის ჩემპიონ-პრიზიორები 3 ნოემბერს გამოვლინდებიან. ამასთან გათამაშდება ოლიმპიური ლიცენზიებიც. საწყის ცხრა წონაში პეკინის საგზურს რვა-რვა საუკეთესო მიიღებს, ხოლო ბოლო ორში — ოთხ-ოთხი.

ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები ცხრაკაციანი შემადგენლობით გამოდის. თენგიზ მესხაძის შეგირდებიდან ორი გუშინ ავიდა რინგზე და ერთისთვის ტურნირი უკვე დასრულდა.

პირველად ხელთათმანები 54-კილოგრამიანმა მოკრივეებმა მოირგეს. 51 მონაწილედან კენჭისყრამ 13 პირდაპირ მეორე წრეში ჩასვა. ილბლიანებში ვერ მოხვდა ნიკოლოზ იზორია. ქართველი ევროპრიზიორი იტალიელი ვიტორიო პარინელის პირისპირ დადგა და ეს ბრძოლა ნაადრევად შეწყდა. მესამე რაუნდში აპენინელი ოცი ქულით დაწინაურდა და მეორე წრის საგზურიც გაინაღდა.

მესამე რაუნდში შეწყდა ლევან ღვამიჩავასა (64კგ) და ყირგიზი იაკუბ შიდაევის შეხვედრაც, ოღონდ ამ შემთხვევაში გამარჯვებული ჩვენებური დარჩა. ლევანმა პირველი რაუნდი 9:2 მოიგო, მეორე — 10:2, მესამე კი 7:2-ზე დასრულდა. მეორე წრეში ქართველი 26 ოქტომბერს გვინეელ ჰენდრიკ პელსვიკს შეხვდება და თუ მასაც აჯობა, ლიცენზიამდე ერთი მეტოქეღა დარჩება ჩამოსაცილებელი. ამავე წონაში გუშინ ერთი სენსაციაც მოხდა. მსოფლიოს უზბეკი ვიცე-ჩემპიონი დილშოდ მაჰმუდოვი ფრანგ ალექსის ვასტინთან შერცხვა.

დღეს რინგი ოთხ წონით კატეგორიას დაეთმობა. მათგან ერთში — 91 კილოგრამში ქართველებს მონაწილე არ გვეყოლება. სამში კი ჩვენთვის საინტერესო ეს ბრძოლებია:

57 კგ კობა ფხაკაძე — ადმან ჰაძიჰაჯიჩი (ბოსნია)

75 კგ გიორგი ნაკანი — არტაევ ბახტიარი (ყაზახეთი)

+91 კგ ბექა ლობჟანიძე — კუბრატ პულევი (ბულგარეთი)

ამ სამი უცხოელიდან ყველაზე ძლიერი ბულგარელი პულევია. მან ორი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ოქრო-ვერცხლის მფლობელები კუბელი სოლისი და რუსი რომანჩუკი ჩიკაგოში აღარ გამოდიან, მივხვდებით, რომ ლობჟანიძის მოწინააღმდეგე ფინალზე ფიქრობს.

აქვე სხვა ჩვენებურთა კენჭისყრაზეც ვთქვათ. ზვიად ხადური ტურნირს ინგლისელი დარენ ლანგლით დაიწყებს. თუ აჯობებს, მედლამდე ორი, ლიცენზიამდე კი ერთი გამარჯვება ექნება მოსაპოვებელი. ვასილ ყაზიშვილი (60კგ) პირველ წრეში სამხრეთაფრიკელ ოვეტუ მბირას მოუღერებს მუშტს, კახა ქვანია (69კგ) ტურნირის მასპინძელ დემეტრიუს ანდრადეს დაუპირისპირდება, დავით წიკლაური (81კგ) კი — მექსიკელ ჯოშუა გარზა ლეველინს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## რეგულარული ჩემპიონატი

23 ოქტომბერი

**პიტსბურგი 1:0 რეინჯერსი**
0:0 1:0 0:0

1:0 მალკინი (21)

**ტორონტო 4:5 ატლანტა**
1:2 2:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)

1:0 სუნდინი (1), 1:1 ენსტრომი (5), 1:2 კოვალჩუკი (20), 2:2 გილი (22), 2:3 პერენი (35), 3:3 ანტროპოვი (37), 3:4 ვაიტი (54), 4:4 პონიკაროვსკი (60)

**ჩიკაგო 4:7 კოლუმბუსი**
1:2 2:2 1:3

0:1 ნეში (3), 0:2 ნოვოტნი (3), 1:2 კეინი (16), 1:3 ნოვოტნი (25), 2:3 ტეივსი (27), 3:3 კეინი (39), 3:4 ფიოდოროვი (40), 3:5 ნეში (50), 3:6 ჟერდევი (53), 4:6 ვიშნევსკი (54), 4:7 ტოლეფსენი (58)

**სენტ ლუისი 4:2 ანაჰაიმი**
0:0 3:2 1:0

0:1 მაკდონალდი (22), 1:1 ტკაჩუკი (28), 2:1 ბოისი (31), 3:1 ბოისი (37), 3:2 მაიერსი (38), 4:2 კარია (60)

**ედმონტონი 2:4 კოლორადო**
1:3 0:0 1:1

0:1 არნასონი (10), 1:1 პენერი (13), 1:2 ჰლინკა (13), 1:3 ვოლსკი (19), 2:3 ჟილბერტი (51), 2:4 კლარკი (60)

**ლოს ანჯელესი 6:0 ნეშვილი**
2:0 2:0 2:0

1:0 კამალერი (7), 2:0 ვიშნევსკი (16), 3:0 ივანსი (28), 4:0 ფროლოვი (31), 5:0 ნადი (50), 6:0 კამალერი (59)

# ბირონის კვირა



**ნჰლ-ის** გასული კვირის პირველ ვარსკვლავად ისევ მეკარე დასახელდა, მაგრამ „ფილადელფიის" კარის დარაჯ მარტინ ბირონის სტატისტიკის ხილვის შემდეგ მისი ასეთი აღიარება გასაკვირის სულაც არ არის.

ბირონმა „მფრინავებს" სამიდან სამივე შეხვედრა მოაგებინა, რომელშიც ის საშუალოდ მხოლოდ 0,66 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 98,2 პროცენტს იგერიებდა. ყველაფერთან ერთად, ბირონმა ამ შვიდდღეულში ორი შათაუთი მიითვალა, როცა ზედიზედ გოლის გატანის საშუალება არ მისცა „ატლანტასა" და „ნიუ ჯერსის" — ამით ბირონმა კარიერაში მშრალზე დასრულებული მატჩების რაოდენობა 20-მდე აიყვანა. კვირის ბოლო შეხვედრაში კი „ფილადელფიის" კიპერმა კიდევ ერთი სუპერმატჩი ჩაატარა, როცა გუნდს 42 სეივით შეეშველა „კაროლინას" დამარცხებაში.

მეორე ვარსკვლავობა „კალგარის" კაპიტან ჯერომ იგინლას ერგო, რომელიც გასულ კვირას ყველაზე შედეგიანი იყო. იგინლამ 8 ქულა (3+5) მოინაგრა და „ალებს" სამიდან ორი მატჩი მოაგებინა. სულ კი „კალგარის" ლიდერის ანგარიშზე 13 ქულაა და ბომბარდირთა დავაში ის მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფს „ოტავას" კაპიტან დანიელ ალფრედსონთან და „ჩიკაგოს" სუპერახალბედა პატრიკ კეინთან ერთად.

მესამე ვარსკვლავად კი იმავე „ჩიკაგოს" კიდევ ერთი თავდამსხმელი, ცენტრფორვარდი ჯეისონ უილიამსი დაასახელეს, რომელმაც წინა კვირას 6 ქულა (2+4) ჩაიწერა აქტივში. უილიამსისგან განსაკუთრებით „ტორონტომ" იზარალა, რომელთან შეხვედრაშიც „შავი ქორების" თავდასხმელმა შაიბა შეაგდო და სამჯერ საგოლედ უპასა თანაგუნდელებს.

**კახა ლომჯარიძე**

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 7 | 6 | 1 | 0 | 28:12 | 12 |
| პიტსბურგი | 8 | 5 | 3 | 0 | 25:24 | 10 |
| აილენდერსი | 8 | 5 | 3 | 0 | 23:25 | 10 |
| ნიუ ჯერსი | 8 | 3 | 4 | 1 | 21:28 | 7 |
| რეინჯერსი | 8 | 2 | 5 | 1 | 13:17 | 5 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 9 | 8 | 1 | 0 | 30:18 | 16 |
| ბოსტონი | 8 | 5 | 3 | 0 | 21:21 | 10 |
| მონრეალი | 8 | 4 | 2 | 2 | 24:20 | 10 |
| ტორონტო | 10 | 3 | 4 | 3 | 37:42 | 9 |
| ბუფალო | 7 | 3 | 4 | 0 | 26:23 | 6 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 9 | 5 | 1 | 3 | 29:19 | 13 |
| ტამპა | 6 | 4 | 2 | 0 | 21:16 | 8 |
| ვაშინგტონი | 7 | 3 | 4 | 0 | 14:19 | 6 |
| ფლორიდა | 8 | 3 | 5 | 0 | 18:23 | 6 |
| ატლანტა | 9 | 2 | 7 | 0 | 21:40 | 4 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 9 | 6 | 2 | 1 | 32:24 | 13 |
| სენტ ლუისი | 7 | 5 | 2 | 0 | 23:14 | 10 |
| ჩიკაგო | 9 | 5 | 4 | 0 | 26:26 | 10 |
| კოლუმბუსი | 8 | 4 | 3 | 1 | 23:19 | 9 |
| ნეშვილი | 8 | 2 | 6 | 0 | 18:30 | 4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 8 | 7 | 0 | 1 | 20:11 | 15 |
| კოლორადო | 9 | 5 | 4 | 0 | 30:28 | 10 |
| კალგარი | 9 | 4 | 3 | 2 | 30:30 | 10 |
| ვანკუვერი | 9 | 4 | 5 | 0 | 25:29 | 8 |
| ედმონტონი | 9 | 3 | 6 | 0 | 20:30 | 6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 9 | 5 | 3 | 1 | 23:20 | 11 |
| დალასი | 8 | 4 | 2 | 2 | 22:19 | 10 |
| ანაჰაიმი | 11 | 4 | 6 | 1 | 25:31 | 9 |
| ლოს ანჯელესი | 10 | 4 | 6 | 0 | 33:36 | 8 |
| ფინიქსი | 7 | 2 | 5 | 0 | 16:23 | 4 |

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. III ტური. ფუხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### A ჯგუფი

**ბეშიქთაში 2:1 ლივერპული**

1:0 პიპია (13ა.გ.), 2:0 დეივსონი (82), 2:1 ჯერარდი (85)

ბეშიქთაში: ჰაქანი, სერდარი (კორაი 42), თანდოგანი, იბრაჰიმი, გოხანი, ე. სისე, დელგადო (ფ. იგუაინი 63), სერდარი, ტელო, დეივსონი (ლ. დიატა 87)

მწვრთნელი: მუთლუ თოფჩუ

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, პიპია (კრაუჩი 83), რიისე, ბენაიუნი (ბენაიუნი 59), ჯერარდი, მასკერანო (ლეივა 76), ბაბელი, კუიტი, ვორონინი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

33 000 მაყურებელი

**მარსელი 1:1 პორტუ**

1:0 ნიანგი (70), 1:1 ლუჩო გონსალესი (79პ)

მარსელი: მანდანდა, ზუბარი, ბონარი, ფაჩი, ცივე (ტაივო 68), ჩანა, შეირუ, ვალბუენა, ზენდენი (არაშე 56), ჯ. სისე (აიევი 88), ნიანგი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

პორტუ: ელტონი, ბრუნო ალვეში, სტეპანოვი, პ. ასუნსაო, ფუსილე, ბოსინგვა, მ. გონსალესი (პოშტიგა 46), ლუჩო გონსალესი, მეირელეში (აბრეუ 72), კვარესმა, ლ. ლოპესი

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

გაფრთხილება: ნიანგი, სტეპანოვი, მანდანდა

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

45 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| პორტუ | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ლივერპული | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

### B ჯგუფი

**ჩელსი 2:0 შალკე**

1:0 მალუდა (4), 2:0 დროგბა (47)

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ალექსი, ბრიჯი, ესიენი (მიკელი 70), მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (შევჩენკო 89), მალუდა (კალუ 84), დროგბა

მწვრთნელი: აბრაამ გრანტი

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი (ბაირამოვიჩი 82), ვესტერმანი, ერნსტი, გროსმიულერი (აზაუაგი 77), ჯონსი, ასამოა (რაკიტიჩი 61), ლოვენკრანდსი, ლარსენი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: ჯონსი, როდრიგესი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

35 000 მაყურებელი

**რუსენბორგი 2:0 ვალენსია**

1:0 კონე (53), 2:0 რისეტი (60)

რუსენბორგი: ჰირშფელდი, კვარმე, დორსინი, საპარა, რისეტი, სკიელბრედი, სტრანდი (სტოორი 86), ტეტეი, ტრაორე, ივერსენი, ი. კონე (სტორფლორი 80)

მწვრთნელი: კნუტ ტორუმი

ვალენსია: კანისარესი, მიგელი (ანგულო 78), ელგერა, მარჩენა (ბარახა 67), მორეტი, ალბიოლი, ალბელდა, გავილანი (ტიგინი 67), ხოაკინი, დ. სილვა, მორიენტესი

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

გაფრთხილება: ტრაორე, სტრანდი, ტეტეი

მსაჯი: კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| შალკე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |

### C ჯგუფი

**რეალი 4:2 ოლიმპიაკოსი**

1:0 რაული (2), 1:1 გალეტი (7), 1:2 ჟულიო სეზარი (47), 2:2, 3:2 რობინიო (68, 83), 4:2 ბალბოა (90)

რეალი: კასილიასი, სალგადო (გ. იგუაინი 64), ს. რამოსი, მეტცელდერი, მარსელო, სნეიდერი (ბალბოა 82), გუტი, გაგო, რობინიო, რაული (მ. ტორესი 88), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პაცაცოგლუ, ჟულიო სეზარი, ანცასი, რ. ბრავო (ძველაკოვი 75), ტოროსიდისი, ჯორჯევიჩი, გალეტი, ლედესმა (ლ. ნუნიესი 86), სტოლტიდისი, ლუალუა (დ. კოვაჩევიჩი 72)

მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი

გაფრთხილება: სალგადო, ჯორჯევიჩი, რობინიო, პაცაცოგლუ, გალეტი, ანცასი

გაძევება: ტოროსიდისი (13)

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

60 000 მაყურებელი

**ვერდერი 2:1 ლაციო**

1:0 სანოგო (28), 2:0 უგო ალმეიდა (54), 2:1 მანფრედინი (82)

ვერდერი: ვიზე, ფრიცი, პასანენი (ტოშიჩი 46), მერტესაკერი, ნალდო, ბოროვსკი (ანდრეასენი 73), ფრინგსი, იენსენი, დიეგო, სანოგო (როზენბერგი 64), უგო ალმეიდა

მწვრთნელი: თომას შააფი

ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი, სტენდარდო, კოლაროვი, ძაური, მანფრედინი, მეგნი (დელ ნერო 51), მუდინგაი, მუტარელი, პანდევი (მაკინვა 69), როკი (ტარე 82)

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: პანდევი, პასანენი, მუტარელი, ძაური, მუდინგაი

მსაჯი: ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)

37 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |

### D ჯგუფი

**მილანი 4:1 შახტარი**

1:0, 2:0 ჟილარდინო (6, 14), 2:1 ლუკარელი (51), 3:1, 4:1 ზეედორფი (62, 69)

მილანი: კალაჩი, ოდო, ნესტა, კალაძე, ფავალი (ბონერა 61), გატუზო, პირლო, ამბროზინი (ემერსონი 83), კაკა, ზეედორფი, ჟილარდინო (სერჯინიო 75)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

შახტარი: პიატოვი, ილსინიო, ჩიგრინსკი, კუჩერი (ჰუბშმანი 17), ფერნანდინიო, ლევანდოვსკი, რაცი, ჟადსონი (კასტილიო 63), სრნა, ბრანდაო (გლადკი 75), ლუკარელი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: გატუზო, ბრანდაო, ამბროზინი, ლუკარელი, ფერნანდინიო

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

40 000 მაყურებელი

**ბენფიკა 1:0 სელტიკი**

1:0 კარდოზო (87)

ბენფიკა: კიმი, ნუნუ ასისი (დი მარია 62), ლეო, ანდერსონი, აუგუსტინი, კაცურანისი, მ. პერეირა, კ. როდრიგესი (ლ. ფერნანდეში 84), რუი კოშტა, ბერგესიო (ადუ 62), ო. კარდოზო

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

სელტიკი: ბორუცი, მაკმანუსი, კოლდუელი, კენედი, ნეილორი, დონატი (ნაო 63), ჰარტლი, იაროშიკი, მაკგიდი, ბრაუნი, კილენი (მაკდონალდი 74)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: მაკგიდი, კილენი, ჰარტლი, დი მარია

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

55 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |



გელზენკირხენელებს დიდიე დროგბას შეჩერება გაუჭირდათ

AFP

# ფართოდ გაღებული კარები

**რთული** ქალაქია „ლივერპულისთვის" სტამბოლი. სულ დრამა უნდა გადახდეს. კაცმა, რომ თქვას, წუხანდელი წაგების მიუხედავად, იქაურობა ამ დიდი ინგლისური კლუბისთვის მაინც კეთილ მოგონებებთან იქნება დაკავშირებული — გეხსომებათ 2005 წლის საოცარი ფინალი „მილანის" წინააღმდეგ — მაგრამ ამჯერად „ბეშიქთაშმა" გაიმარჯვა.

უიღბლო პერიოდი უდგას სემი ჰიიპიას. ოთხი დღის წინ მან საკუთარ კარში გაიტანა გოლი და აი, ახლაც იგივე მოხდა. სტამბოლის გუნდმა პირველი სწორედ ჰიიპიას წყალობით შეაგდო. მეორე, თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ბობომ გაიტანა, სამ წუთში კი სტივენ ჯერარდმა კლასიკური თავურით სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა.

„პორტუმ" კი მარსელში ლუჩო გონსალესის პენალტით გაათანაბრა და შინ ქულა გაიყოლა. საინტერესოა, რომ თამაშის წინა ინტერვიუებში ორივე მწვრთნელი ამბობდა, ფრე ჩინებული შედეგი იქნებაო. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში პორტუელმა ელდერ პოშტიგამ ერთსა და იმავე ძელს ერთსა და იმავე ადგილას ორჯერ გაარტყა ბურთი.

მარსელელთაგან მამადუ ნიანგმა იყოჩაღა — ასეთი გახლდათ A ჯგუფის ამბები.

და როგორ არის საქმეები B ჯგუფში? აქ კარი საკმაოდ ფართოდ არის გაღებული და პლეი ოფში გასვლა ჯერჯერობით თავისუფალია. ამის ძირითადი მიზეზი ლერკენდალში „რუსენბორგის" მიერ რვა წუთში გატანილი ორი გოლი გახლდათ.

„ვალენსიასთან" შეხვედრამდე, ორ ტურში, ნორვეგიელებს მხოლოდ ერთი ქულა მოეპოვებინათ და ესპანელებთანაც პირველ ტაიმში დიდი ვერაფერი მოახერხეს, თუმცა შესვენების შემდეგ მოედანს სხვა გუნებაზე დაუბრუნდნენ და ცნობილი გოლკიპერი სანტიაგო კანისარესი ორჯერ გააწბილეს. ვალენსიელთა გასამართლებლად აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის წინ მათ მთავარი თავდამსხმელი დავიდ ვილია დაუშავდათ, თუმცა მწვრთნელი კიკე სანჩეს ფლორესი აცხადებდა, რომ 25 წლის ვარსკვლავის გარეშეც გაართმევდა ნორვეგიულ ამოცანას თავს. როგორც ხედავთ, ფლორესი შეცდა.

ამავე ჯგუფში „ჩელსიმ" ფლორენ მალუდასა და დიდიე დროგბას გოლებით „შალკე" დაამარცხა. დროგბასთვის ეს გახლდათ მეორე გოლი ზედიზედ მეორე შეხვედრაში, პირველი კი ფრანგმა ნახევარმცველმა იღბლისა თუ გერმანელი გოლკიპერის დიდი დახმარებით გაიტანა — ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, რომ ბოლოხანს ევროპელ გულშემატკივარს ფრიად ახალისებს მეკარეთა უხეში შეცდომები. კაცმა რომ თქვას, მანუელ ნოიერის ბრალი იყო დროგბას გოლიც, თუმცა პირველი მაინც მეტისმეტი გახდათ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „შალკემ" ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა კარლოს გროსმიულერს ოფსაიდი აუწია. იყო კი?!

ერთ ეპიზოდში გერმანელებმა ძელსაც გაარტყეს ბურთი, თუმცა თამაშის ზოგადი სურათით თუ ვიმსჯელებთ, ლონდონელებმა მოწინააღმდეგეს აჯობეს.

C ჯგუფში „ვერდერმა" „ლაციოს" 2:1 მოუგო, შეჯიბრების პირველი ქულები მოიპოვა და ამიერიდან უეჭველად მეტზეც დაიწყებს ოცნებას.

უფრო დრამატული გახლდათ მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე", სადაც „რეალმა" „ოლიმპიაკოსს" 4:2 მოუგო, ოღონდ ერთი ხანობა 1:2-ს აგებდა, თან, კაცნაკლულ მეტოქესთან — „ოლიმპიაკოსს" არც მეტი, არც ნაკლები, მე-13 წუთზე ბოლო იმედის ჯარიმისთვის ტოროსიდისი გაუგდეს. კიდევ, მეორე ტაიმში, უკვე 2:2-ზე რუუდ ვან ნისტელროიმ პენალტი ააცილა მიზანს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მადრიდელებს დარჩათ.

D ჯგუფში „ბენფიკამ" „სელტიკს" საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე ოსკარ კარდოსოს გოლით აჯობა, „სან სიროზე" კი „მილანმა" „შახტარის" ბედს გადაუწყვიტა — 4:1.

მილანელებმა ეს შეხვედრა ჩინებულად ჩაატარეს და მეტოქეს თვალსაჩინოდ აჯობეს. კახა კალაძემ სრულად ითამაშა.

**პაატუნა ძიძია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიქრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge